შპს ფილიპ მორის საქართველო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1 კომპანია და მისი საქმიანობა 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 5
3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 6
4 მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 17
5 ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება 19
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები 21
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 27
8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 28
9 მარაგები 29
10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 29
11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31
12 საწესდებო კაპიტალი 31
13 ნასესხები სახსრები 31
14 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება 32
15 სავაჭრო და სხვა ვალდებულება 32
16 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 33
17 რეალიზაციის თვითღირებულება 34
18 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები 34
19 მარკეტინგის დანახარჯები 34
20 სხვა საოპერაციო ხარჯი, ნეტო 35
21 ფინანსური ხარჯები, ნეტო 35
22 გაუთვალისიწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 35
23 ფინანსური რისკის მართვა 37
24 კაპიტალის მართვა 42
25 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება 43
26 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით 44
27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 44

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ფილიპ მორის საქართველოს ხელმძღვანელობას და მესაკუთრეს:

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ფილიპ მორის საქართველოს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*- ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის

ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ, ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს არსებითი უზუსტობა, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2022 წლის 28 აპრილი
თბილისი, საქართველო

ათასი ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	8	5,283	6,718
აქტივების გამოყენების უფლება		1,487	1,635
სულ გრძელვადიანი აქტივები		**6,770**	**8,353**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	98,927	88,496
სხვა საგადასახადო აქტივები		3,953	4,351
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	28,434	26,423
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	23	16
სულ მოკლევადიანი აქტივები		**131,337**	**119,286**
სულ აქტივები		**138,107**	**127,639**
კაპიტალი			
საწესდებო და გადახდილი კაპიტალი	12	552	552
გაუნაწილებელი მოგება		9,842	5,976
სულ კაპიტალი		**10,394**	**6,528**
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
იჯარის ვალდებულებები		486	1,035
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**486**	**1,035**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	13,14	78,473	51,182
იჯარის ვალდებულებები		1,239	1,047
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	47,515	67,847
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**127,227**	**120,076**
სულ ვალდებულებები		**127,713**	**121,111**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**138,107**	**127,639**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2022 წლის 29 აპრილს:

_____
იური გორდოკი
გენერალური დირექტორის მოადგილე

_____
ქეთევან ხარაძე
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე

შპს ფილიპ მორის საქართველო

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	16	592,021	488,892
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	17	(559,915)	(463,348)
მთლიანი მოგება		**32,106**	**25,544**
სხვა შემოსავალი		124	62
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(19,653)	(15,738)
მარკეტინგის ხარჯები	19	(6,760)	(2,796)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ (ზარალი), ნეტო	20	790	(3,328)
საოპერაციო მოგება		**6,607**	**3,744**
ფინანსური ხარჯები, ნეტო	21	(2,741)	(2,429)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**3,866**	**1,315**
მოგების გადასახადის ხარჯები		-	-
წლის მოგება		**3,866**	**1,315**
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**3,866**	**1,315**

შპს ფილიპ მორის საქართველო
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	საწესდებო და გადახდილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	**552**	**4,661**	**5,213**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,315	1,315
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**552**	**5,976**	**6,528**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	3,866	3,866
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**552**	**9,842**	**10,394**

შპს ფილიპ მორის საქართველო
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		3,866	1,315
შესწორებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	18	1,982	720
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა		991	829
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	18	529	-
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობები, შემცირებული ზარალით		(105)	-
საპროცენტო შემოსავალი	21	(3)	(5)
საპროცენტო ხარჯი ნასესხების სახსრებისთვის	21	2,584	2,281
საპროცენტო ხარჯი იჯარის ვალდებულებებისთვის	21	160	153
სავალუტო ოპერაციებიდან წმინდა ზარალი/(შემოსულობა)	20	(1,609)	2,414
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**8,395**	**7,707**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(2,011)	(26,336)
მარაგიები		(10,431)	931
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(18,421)	23,574
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები		**(30,863)**	**(1,831)**
მიღებული პროცენტი		3	5
ნასესხები სახსრებისთვის გადახდილი პროცენტი	13,14	(2,245)	(2,367)
იჯარის ვალდებულებისთვის გადახდილი პროცენტი	13,14	(160)	(153)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (საქმიანობაში გამოყენებული)		**(24,870)**	**3,361**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(1,110)	(3,295)
არამატერიალური აქტივების შეძენა	8	-	(1,581)
შემოსულობები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		129	19
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		**(981)**	**(4,857)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	13,14	490,311	382,357
ნასესხები სახსრების გადახდა	13,14	(463,359)	(379,935)
იჯარის ვალდებულების ძირი თანხის გადახდა	14	(1,094)	(933)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**25,858**	**1,489**
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**7**	**(7)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**16**	**23**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		**23**	**16**

1 კომპანია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების მიხედვით,2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, შპს ფილიპ მორის საქართველოსთვის (შემდგომში „კომპანია“ ან „ფი-ემ-ჯი“)

კომპანია დაფუძნდა 2010 წლის 17 სექტემბერს და მისი ადგილმდებარეობა საქართველოშია. კომპანია დაფუძნებულია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, რეგისტრაციის ნომრით: 404387374. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია, რომელიც მისი აქციების 100%-ს ფლობს, გახლდათ Philip Morris Sarl., რომლის საბოლოო მესაკუთრეა Philip Morris International Inc. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნდა საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში სიგარეტის, გასახურებელი თამბაქოსა და დაკავშირებული მოწყობილობების იმპორტი, განბაჟება და ბითუმად გაყიდვაა. კომპანიის ობიექტები მდებარეობს თბილისში, საქართველო.

კომპანიას ერთი მომხმარებელი ჰყავს, შპს GDI, რომელიც კომპანიის პროდუქციის ერთადერთი დისტრიბუტორია.

რეგისტრაციის და საქმიანობის განხორციელების ადგილი. კომპანია დაფუძნებულია შემდეგ მისამართზე: ზაარბრუკენის მოედანი, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში ("₾"), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის 12 მარტს ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე, მათ შორის კომპანიის ოპერაციებზეც.

2021 წელს, საქართველოს ეკონომიკამ პანდემიისგან აღორძინების დადებითი დინამიკა აჩვენა. ამ ტენდენციას ასევე დაეხმარა გლობალური ეკონომიკის აღორძინება და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდა. თუმცა, საქართველოს და გლობალურ ბაზრებზე მაღალი ფასები ასევე ხელს უწყობს ინფლაციას საქართველოში.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. ადმინისტრაციული დეპარტამენტი გადავიდა დისტანციურად მუშაობის რეჟიმში, ხოლო სამუშაო პროცესი საწარმოში შენარჩუნებული იყო ყველა წესის დაცვით.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

იხილეთ შენიშვნა 27 ბოლოდროინდელი საოპერაციო გარემოს შემდგომი განახლებისთვის.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების კონვენციის მეთოდით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. იხილეთ მე-5 შენიშვნა.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტი და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით.

საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, სანამ არ გადააჭარბებს გადაფასების ნამეტს კაპიტალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აქტივისთვის აღიარებულია წინა წლებში, აღდგება საჭიროებისამებრ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალიზაციის თვითღირებულების გამოკლებით აქტივის რეალური ღირებულების განსასაზღვრად გამოყენებულ დაშვებებში განხორციელდა ცვლილებები.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, საოპერაციო შემოსავალში, ან დანახარჯებში.

ცვეთა. დაუმონტაჟებელ საშუალებებს ცვეთა არ ერიცხებათ. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ან გადაფასებული თანხების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დადგენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
ავეჯი, მოწყობილობები და ინვენტარი	1-10
იჯარით აღებული აქტივების გაუმჯობესება	2-5
მონაცემთა დასამუშავებელი ტექნიკა	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	4-15
სხვა	1-5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, შემცირებული შეფასებული გასვლის დანახარჯებით, თუ აქტივს უკვე ის ასაკი და მდგომარეობა ექნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

აქტივების გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს ოფისებსა და საწყობს. ხელშეკრულებების შეიძლება მოიცავდეს ორივეს, საიჯარო და არა საიჯარო კომპონენტებს. კომპანია გადაანაწილებს საზღაურს ხელშეკრულებაში საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებზე მათი განცალკევებითი ფასის საფუძველზე.

იჯარიდან წარმოქმნილი აქტივები თავდაპირველად შეფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივების გამოყენების უფლება შეფასდება თვითღირებულებით და შედგება შემდეგისგან:

- იჯარის ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა, რომელიც განხორციელებულია დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო წამახალისებლებით;
- ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, და
- აქტივის იჯარის შეთანხმებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე აღდგენის ხარჯები.

აქტივების გამოყენების უფლება საერთოდ გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე. თუ კომპანიას გააჩნია გონივრული რწმუნება, რომ ის გამოიყენებს შესყიდვის ოფციონს, აქტივის გამოყენების უფლებას დაერიცხება ცვეთა მითითებული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივების გამოყენების უფლების მუხლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
შენობა-ნაგებობები	3-დან 5-მდე

არამატერიალური აქტივები გუდვილის გარდა. შეძენილი არამატერიალური აქტივების თავდაპირველად აღიარება ხდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავენ დაგროვილი ამორტიზაციითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	3-5
სხვა საოპერაციო ლიცენზიები	3-5

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება მათი სასარგებლო ეკონომიკური ვადის განმავლობაში და ფასდება გაუფასურებაზე, როდესაც არსებობს ნიშნები, რომ არამატერიალური აქტივები შეიძლება გაუფასურებულია. განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდის გადასინჯვა სულ მცირე, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მაინც უნდა განხორციელდეს. მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან აქტივში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ხასიათის ცვლილებები მიიჩნევა ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის მოდიფიცირებად, საჭიროებისამებრ, და განიხილება როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებში, რაც არამატერიალური აქტივების ფუნქციის თანმიმდევრულია.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი ფასდება, როგორც სხვაობა გასვლიდან მიღებულ წმინდა თანხასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის ნებაყოფლობითი ოპერაციისას ბაზრის მონაწილეთა შორის შეფასების თარიღისთვის მიმდინარე საბაზრო პირობებში. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გავრცელებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტრებულ ფასზე..

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონის შეფასება არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი ემპირიული ამოსავალი მონაცემი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასება, არის შეფასება რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები), მრჩევლებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის და მარეგულირებლებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით *("ECL")*. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შეფასების შემდეგ კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL'), რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ('FVOCI') და ამორტიზებული ღირებულებით ('AC'). ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის; და (ii) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL').

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები– კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას ("SPPI"). ფინანსური აქტივების, ჩართული წარმოებულებით, მთლიანად გათვალისწინება ხდება იმის განსაზღვრისას, ფულადი ნაკადები შესაბამისობაშია თუ არა SPPI მახასიათებელთან. შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა. როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით". SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება. იხილეთ მე-4 შენიშვნა კომპანიის მიერ, მისი ფინანსური აქტივებისთვის SPPI-ს ტესტის შესრულებისას განსჯის გამოყენების შესახებ.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანიას ორი ტიპის ფინანსური აქტივი გააჩნია, რომელიც ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს - სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრებს და მათი ეკვივალენტები.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომლის მიხედვითაც ზარალის რეზერვი ფასდება თანხით, რომელიც ამ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, ხორციელდება სავაჭრო მოთხოვნების დაჯგუფება საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

23-ე შენიშვნაში განმარტებულია ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, მათ შორის იმის ახსნა, კომპანია როგორ ითვალისწინებს პერსპექტიულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მოდელებში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კომპანია გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, ამავე დროს, აქტივის გაყიდვაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც "შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით' ('AC'), გარდა (i) "რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა" ("FVTPL"): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს, პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანიასა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისგან. ამასთან, ითვალისწინებენ სხვა ხარისხობრივ ფაქტორებსაც, როგორიცაა მაგალითად ვალუტა, რომელშიც ინსტრუმენტია გამოსახული, საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილება, ინსტრუმენტის კონვერსიის ახალი პირობები და სესხის პირობების ცვლილება. როდესაც სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ იწვევს ვალდებულების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის („catch up") მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფინანსური ვალდებულებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით," („FVTPL") შეფასებულის კატეგორია. კომპანიამ შეიძლება გარკვეულ ვალდებულებებს თავდაპირველი აღიარებისას მიანიჭოს *FVTPL* კატეგორია. მსგავსი ვალდებულებებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება, გარდა რეალური ღირებულების ცვლილების თანხისა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი (განისაზღვრება თანხით, რომელიც მიკუთვნებადი არ არის საბაზრო პირობების ცვლილებაზე, რაც წარმოქმნის საბაზრო რისკს), და რომელიც სხვა სრულ შემოსავალში აისახება და შემდეგში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ეს ასეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას, ამ შემთხვევაში ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებზე მიკუთვნებადი შემოსულობა და ზარალი მოგებაში ან ზარალში აისახება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის და რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია ("FVTPL").

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

იჯარის ვალდებულებები. იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. იჯარის ვალდებულებები მოიცავს იჯარის ფიქსირებული გადახდების, შემცირებული იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნებით, წმინდა დღევანდელ ღირებულებას:

გაგრძელების შესაძლებლობები შეყვანილია კომპანიის შიგნით ყველა იჯარაში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივების მართვასთან დაკავშირებით. გაგრძელების შესაძლებლობების სარგებლობის უფლება მხოლოდ კომპანიას აქვს და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება. იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივს გამოყენების უფლებით, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია იყენებს საჯაროდ ხელმისაწვდომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს, რომელიც გავრცელებულია საქართველოს ბაზარზე.

იჯარის გადახდები განაწილდება ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება მოკლევადიან იჯარასთან და დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლების ვადაც 12 თვე ან ნაკლებია.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ‘აგროსილ’ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები ‘აიგროსება’ შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გადასახდელი დღგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადაიდება 5 - 10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელთა დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა 20% ან მეტია.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში მეთოდის გამოყენებით (FIFO). მარაგის თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, იმპორტის გადასახადებისგან, სხვა არა-აღდგენადი გადასახადებისგან, ტრანსპორტირებისა და გადატვირთვის ღირებულებისაგან და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებისაგან, შემცირებული ფასდაკლებებით და მსგავსი კომპონენტებით, რომელიც გაიწევა მარაგების მიმდინარე კონდიციამდე და მდებარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდინება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ინდიკატორი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საწესდებო და გადახდილი კაპიტალი. კომპანიის გაცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის აქციონერების მიერ. კომპანიის გაცხადებულ კაპიტალში ცვლილებები მხოლოდ აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს.

ყველა სხვა ფულადი და არამატერიალური შენატანები კაპიტალში, რომელიც განხორციელდა აქციონერების მიერ და კომპანიის კაპიტალის ზრდისთვის იქნა გამიზნული, თუმცა არ იქნა ასახული კომპანიის წესდებაში საბალანსო თარიღისათვის, აღიარებულია, როგორც გადახდილი კაპიტალი.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება გაუნაწილებელი მოგებიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიას ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დაბრუნებისა და დღგ-ს გარეშე.

საქონლის გაყიდვა . გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როდესაც მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, და მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, როცა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება, ან კომპანიას გააჩნია ყველა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ამონაგები ფასდათმობითი გაყიდვებიდან აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები 30 დღიანი საკრედიტო პირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს. კომპანიის სამუშაო ვალუტა და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები, კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის (‘სებ’-ის) მიერ დადგენილი კურსით. შემოსულობები და ზარალი უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშებიდან, აღირიცხება მოცემული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ნასესხებ სახსრებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო შემოსულობები და ზარალი, აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა ფინანსურ დანახარჯები“. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში როგორც „სხვა საოპერაციო დანახარჯები“. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით.

ვალუტის გაცვლის კურსების ცვლილებების გავლენა რეალური ღირებულებით და უცხოურ ვალუტაში შეფასებულ არამონეტარულ მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები, რომლითაც მოხდა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების ლარში გადაანგარიშება იყო შემდეგი: ამერიკული დოლარი (‘$’) 1 = ₾ 3.0976 და ევრო (‘€’) 1 = ₾ 3.5040 (2020 წლის 31 დეკემბრისთვის: $1 = ₾ 3.2766 და €1 = ₾ 4.0233). ამაჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგების გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ცვლილების დამტკიცება, ვინც გამოსაცემად დაამტკიცა ეს ფინანსური ანგარიშგება.

4 მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

თუ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა იქნებოდა 10%-ით განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებისგან, გავლენა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე იქნებოდა 297 ათასი ლარით ზრდა/შემცირება (2020: 154 ათასი ლარი).

აქტივების გაუფასურება და ანარიცხების აღრიცხვა. ყოველი საანგარიშო პერიოდის დადგომისას კომპანია აფასებს არსებობს თუ არა მინიშნება იმაზე, რომ კომპანიის აქტივების ამოღებადი თანხა ჩამოსცდა საბალანსო ღირებულებას. 2021 წლის 31 დეკემბერს, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ყველა შესაბამისი შიდა და გარე ფაქტორები და დაასკვნა, რომ არ არსებობს გაუფასურების ინდიკატორი და შედეგად, კომპანიის არაფინანსური აქტივებისთვის გაუფასურებაზე ტესტი არ ჩატარებულა.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებით. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-**Error! Reference source not found.** შენიშვნაში.

აქტივების გამოყენების უფლების გაუფასურება. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

დისკონტირების განაკვეთები, რომელიც გამოყენებულია იჯარის ვალდებულებების განსასაზღვრად. კომპანია იყენებს მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს დისკონტორების განაკვეთის გაანგარიშების საფუძვლად, იმიტომ, რომ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება. მიღების დღისთვის, 6.99% საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა, როგორც ზღვრული სასესხო განაკვეთი კომპანიისთვის. ხელშეკრულებებისთვის, რომელიც იწყება 2021 წელს, განაკვეთი განისაზღვრა 7.7%-ით.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაკმაყოფილებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას. ხელმძღვანელობამ, ამ განსჯის განხორციელებისას, გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებთან წვდომა, გააანალიზა ფინანსური ბაზრის სიტუაციის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება . მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა, რომელიც მოიცავს განსაზღვრის მეთოდოლოგიის, მოდელებისა და ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია 23-ე შენიშვნაში. საკრედიტო ზარალის ანარიცხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ კომპონენტებს: დეფოლტის განმარტება, მნიშვნელოვნად გაზრდილი საკრედიტო რისკი (SICR), დეფოლტის ალბათობა (“PD”), დეფოლტის რისკი (“EAD”) და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”), ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელები. კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელებსა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის.

5 ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდგე დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ შესწორებებმა მოიჯარეებს (და არა მეიჯარეებს) მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო განთავისუფლების ფორმით გამოხატული შეღავათით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს საიჯარო ქირის დათმობის იგივენაირად აღრიცხვა, როგორც აღრიცხავდა მაშინ, თუ ის არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. ბევრ შემთხვევაში, ეს აისახება საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვაში, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდა. პრაქტიკული მიზანშეწონილობები მხოლოდ ისეთ საიჯარო ქირის დათმობებზე გამოიყენება, რომელიც COVID-19-ის პანდემიის პირდაპირ შედეგად დადგა და მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია: საიჯარო გადასახადების ცვლილება იწვევს იჯარის საზღაურის გადახედვას, რაც არსებითად იგივეა ან ნაკლები იმ იჯარის საზღაურზე, რაც უშუალოდ ცვლილებამდე იყო. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადახდებზე, რომლებიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე. და არ არსებობს იჯარის ვადებისა და პირობების სხვა არსებითი ცვლილება. თუ მოიჯარე ირჩევს პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებას იჯარაზე, ის გამოიყენებს პრაქტიკულ მიზანშეწონილობას თანმიმდევრულად ყველა საიჯარო კონტრაქტზე მსგავსი მახასიათებლებითა და მსგავს გარემოებებში. ცვლილება გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად ბასს 8-ის შესაბამისად, მაგრამ მოიჯარეებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდის მაჩვენებლების ხელახლა გაცხადება ან ინფორმაციის მიწოდება ბასს 8-ის 28(ვ) პუნქტის შესაბამისად. შესწორების მიღებას არანაირი გავლენა არ მოუხდენია აქტივების გამოყენების უფლებაზე.

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი საბაზისო ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლას. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- *IBOR– ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:* ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმოებმა გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად, სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, მოიჯარეებსაც იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ. *ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი:* მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.
- *დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან:* მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების

ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.

- *IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები:* შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებეულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა.

IBOR-ის რეფორმის გავლენა. სხვადასხვა ბანკთაშორის შეთავაზებული განაკვეთების („IBOR“) რეფორმა და ჩანაცვლება მარეგულირებელთა პრიორიტეტად იქცა. IBOR ტარიფების უმეტესობის გამოქვეყნება შეწყდება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხოლო გარკვეული აშშ დოლარის LIBOR ტარიფების გამოქვეყნება შეწყდება 2023 წლის 30 ივნისისთვის.

ცვლილების გამოყენებას არანაირი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია – შესწორებები ბასს 1-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის 2022 წლის 1 იანვრიდან). ეს ვიწრო მასშტაბის ვალდებულებები კლასიფიცირდება ან როგორც გრძელვადიანი, ან როგორც მოკლევადიანი, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება, რომ გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიანად თუ პირობა დარღვეულია საანგარიშო პერიოდის მსვლელობისას ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან არის მიღებული მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის შეთანხმება ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. დამატებით, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის ანგარიშსწორებასაც კომპანია მისი კაპიტალში გადაანგარიშებით შეძლებს. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. არსებობს გამონაკლისი იმ გადაანგარიშებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება გადაანგარიშებული იყოს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გადაანგარიშების შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი-როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3-ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) ბასს 16-ის შესწორება უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ბასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებებადა საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

ფასს 1 იძლევა საშეღავათო უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები. ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულს საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.
მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია შემდეგი შესწორებები ფასს 17-თვის:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:* დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების” ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

- *ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.*

სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ასს1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID-19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები– შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა შესწორება ფასს 16-სთვის, რომელმაც მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო პრაქტიკული მიზანშეწონილობით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც აისახა იმ იჯარის გადასახდელების შემცირებაში, რომელიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე, წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო მოვალეობები და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გაუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შეადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალცალკე; სწარამოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ არ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებული მხარეებისგან		**8,322**	**6,394**
- Philip Morris Products SA	*EUCC**	8,322	6,394
დაკავშირებული მხარეების მიმართ		**37,831**	**56,176**
- Philip Morris Ukraine PrJSC	EUCC*	32,440	53,938
- Philip Morris Products SA	EUCC*	4,438	1,442
- Philip Morris Services SA	EUCC*	362	200
- Philip Morris International IT Service Center Sarl	EUCC*	361	396
- Philip Morris International Service Center Europesp. ZOO	EUCC*	154	76
- Philip Morris International Management SA	EUCC*	76	124

ტრანზაქციები, შემოსავალი და დანახარჯები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2021	2020
Purchase of inventory		**162,474**	**125,730**
- Philip Morris Ukraine PrJSC	*EUCC**	138,067	110,771
- Philip Morris Products SA	*EUCC**	24,407	14,959
Management fees		**3,263**	**3,049**
- Philip Morris Services SA	*EUCC**	3,263	3,049
Consultation expenses		**3,450**	**2,797**
- Philip Morris International IT Service Center Sarl	*EUCC**	2,163	1,553
- Philip Morris International Management SA	*EUCC**	1,098	1,141
- Philip Morris International Service Center Europesp. ZOO	*EUCC**	189	103

** EUCC – საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*

ხელმძღვანელობის ხარჯები. ხელმძღვანელობის ხარჯები მოიცავს ექსპატრიატი ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების კომპენსაციას (გენერალური მენეჯერი და მომდევნო დეპარტამენტების უფროსები: ფინანსური და ადმინისტრაციული, მარკეტინგი, გაყიდვები) სრულ განაკვეთზე აღმასრულებელი მენეჯერის პოზიციაზე, რომელიც შედგება საბაზისო ხელფასის, ბონუსისა და სხვა სარგებლისგან.

მთავარი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. მთავარი ხელმძღვანელი პირები არიან კორპორაციული საკითხებისა და კომერციული დეპარტამენტების უფროსები. მთავარი ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი კომპენსაცია მათ მიერ გაწეული მომსახურებისთვის სრულ განაკვეთზე აღმასრულებელი მენეჯმენტის პოზიციაზე შედგება საბაზისო ხელფასის, ბონუსისა და სხვა სარგებელისგან.

სულ კომპენსაციამ, რომელიც მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაშია ასახული, შეადგინა 690 ათასი ლარი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (2020: 548 ათასი ლარი). 2021 წლის 31 დეკემბერს, მთავარი ხელმძღვანელი პირებისათვის გადასახდელი კომპენსაციები და სარგებელი იყო 98 ათასი ლარი (2020: 88 ათასი ლარი).

8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	IT აღჭურვილობა	ავტო-მობილები	ავეჯი და მოწყობი-ლობა	ოჯარის პირობების გაუმჯობესება	დაუმთავრებელი მშენებლობა/ დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	სხვა	სულ ძირითადი საშუალებები	არამატერიალუ-რი აქტივები	სულ
ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს	501	1,994	1,009	986	33	195	**4,718**	41	**4,759**
დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია	(351)	(1,171)	(185)	(258)	-	(174)	**(2,139)**	(41)	**(2,180)**
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იან.	**150**	**823**	**824**	**728**	**33**	**21**	**2,579**	**-**	**2,579**
დამატებები	28	128	271	793	1,133	942	**3,295**	1,581	**4,876**
ტრანსფერები	15	-	17	-	(46)	14	**-**	-	**-**
გასვლები (ღირებულება)	(2)	-	(21)	-	-	(2)	**(25)**	-	**(25)**
გასვლები (დაგროვილი ცვეთა)	2	-	4	-	-	2	**8**	-	**8**
ცვეთის / ამორტიზაციის დარიცხვა	(72)	(306)	(100)	(200)	-	(42)	**(720)**	-	**(720)**
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	**121**	**645**	**995**	**1,321**	**1,120**	**935**	**5,137**	**1,581**	**6,718**
ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს	543	2,122	1,275	1,779	1,120	1,148	**7,987**	1,623	**9,610**
დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია	(422)	(1,477)	(280)	(458)	-	(213)	**(2,850)**	(42)	**(2,892)**
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	**121**	**645**	**995**	**1,321**	**1,120**	**935**	**5,137**	**1,581**	**6,718**
დამატებები	63	402	138	-	-	506	**1,109**	-	**1,109**
ტრანსფერები	-	-	68	-	(68)	-	**-**	-	**-**
გასვლები (ღირებულება)	(10)	(442)	(35)	-	-	(14)	**(501)**	-	**(501)**
გასვლები (დაგროვილი ცვეთა)	7	421	26	-	-	14	**468**	-	**468**
ცვეთის / ამორტიზაციის დარიცხვა	(82)	(319)	(269)	(672)	-	(640)	**(1,982)**	(529)	**(2,511)**
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**99**	**707**	**923**	**649**	**1,052**	**801**	**4,231**	**1,052**	**5,283**
ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	596	2,082	1,446	1,779	1,052	1,640	8,595	1,623	10,218
დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია	(497)	(1,375)	(523)	(1,130)	-	(839)	(4,364)	(571)	(4,935)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**99**	**707**	**923**	**649**	**1,052**	**801**	**4,231**	**1,052**	**5,283**

.

8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

მე -8 და მე -17 შენიშვნებში მითითებულ ცვლილებებს შორის სხვაობა გამოწვეულია აქტივის გამოყენების უფლების ცვლილებით, რაც პერიოდისთვის 991 ათას ლარს შეადგენს (2020: 829 ათასი ლარი). დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა მოიცავს მონაცემთა დამუშავებას, მარკეტინგის სტენდების და დაკავშირებული აღჭურვილობისგან, რომელიც რეკლასიფიცირდება საინფორმაციო ტექნოლოგიების აღჭურვილობისა და სხვა ატქივების კატეგორიაში. კომპანიას გააჩნდა 1,166 ათასი ლარის ოდენობის (2020: 1,127 ათასი ლარის) სრულად გაცვეთილი აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

9 მარაგები

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გადასაყიდი საქონელი	96,378	86,743
სხვა მარაგები	2,549	1,753
სულ მარაგები	**98,927**	**88,496**

აქციზის გადასახადი შეადგენდა 1,7 ლარს სიგარეტის კოლოფზე, ამას მიმატებული ადვალორემული განაკვეთი დეკლარირებული საცალო გაყიდვების ფასის (RSP) 30% (2020: 1.7 ლარი/კოლოფზე, ადვალორემი დეკლარირებული RSP-ის 30%).

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	19,911	19,856
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	8,322	6,381
სხვა მოთხოვნები	64	86
შემცირებული გაუფასურების ზარალის ანარიცხით	-	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	**28,297**	**26,323**
გადახდილი ავანსები	137	100
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**28,434**	**26,423**

2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნა 19,911 ათასი (2020: 19, 857 ათასი ლარი) ლარის ოდენობით მხოლოდ ერთ მომხმარებელს - შპს GDI -ს ეკუთვნის.

მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან წარმოადგენს თანხას მშობელი საწარმოსგან Philip Morris Products S.A. თანხა წარმოადგენს ახალი პროდუქტის-შემცირებული რისკის პროდუქტი („აიქოსი“) საქართველოს ბაზარზე ჩაშვებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. თანხა PMG-ს გადმოურიცხა Philip Morris Products S.A.-მ 2022 წელს. გაწეული ხარჯები და ანაზღაურებული თანხები დაყვანილია ნეტომდე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნები უზრუნველყოფილ იქნა უპირობო საბანკო გარანტიით, რომელიც კომპანიის სასარგებლოდ გაცემული და დადასტურებულ იქნა სს „თიბისი ბანკის“ მიერ (2020 წ. 31 დეკემბერი: სს „თიბისი ბანკი“).

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

კომპანია იყენებს ფასს-9 გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეფასდა ინდივიდუალურად.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილებს 2020 წლის 31 დეკემბრამდე ან 2020 წლის 1 იანვრამდე 36 თვით ადრე პერიოდის განმავლობაში და ამ პერიოდში გამოცდილ ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული საკრედიტო ზარალის განაკვეთები დაკორექტირებულია იმის ასასახად, მიმდინარე და პროგნოზირებად ინფორმაციას მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ აქვს თუ არა გავლენა კლიენტების მოთხოვნების დარეგულირების უნარზე. კომპანიამ გამოავლინა, რომ მშპ და უმუშევრობის რეიტინგი იმ ქვეყნებში, სადაც ის ჰყიდის მის პროდუქციას და მომსახურებას, ყველაზე რელევანტური ფაქტორებია და შესაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის განაკვეთებს, ამ ფაქტორებში მოსალოდნელ ცვლილებებზე დაყრდნობით.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის განსაზღვრულია ქვემოთ მოცემული ანარიცხის მატრიცის მიხედვით. ანარიცხის მატრიცა ეფუძნება აქტივის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას, რომლებიც დაკორექტირებული მშპ-ს და აშშ დოლარის/ლარის გაცვლითი კურსების მოლოდინებისთვის.

	2021 წლის 31 დეკემბერი				2020 წლის 31 დეკემბერი			
ათასი ლარი	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა საბალანსო ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნები								
- მოკლევადიანი	*0%*	19,911	-	**19,911**	*0%*	19,856	-	**19,856**
დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები მოთხოვნები								
-მოკლევადიანი	*0%*	8,322	-	**8,322**	*0%*	6,381	-	**6,381**
სხვა მოთხოვნები								
- მოკლევადიანი	*0%*	64	-	**64**	*0%*	86	-	**86**
სულ	-	**28,297**	-	**28,297**	-	**26,323**	-	**26,323**

11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	23	16
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**23**	**16**

ნაღდი ფული ბანკში წარმოადგენს ადგილობრივი ბანკის, სს საქართველოს ბანკის (BB- რეიტინგის მქონე) და სს თიბისი ბანკის (BB- რეიტინგის მქონე) პროცენტიან მიმდინარე ანგარიშებს, რომლებიც არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებულია. მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იყო 3 ათასი ლარი (2020: 5 ათასი ლარი).

12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან 550 ათასი ლარის ოდენობით და დამატებით გადახდილი კაპიტალისგან 2,325 ლარის ოდენობით. 2021 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ ყოფილა გადახდილი. (2019: 2.330,429 ლარი)

13 ნასესხები სახსრები

2021 წლის 31 დეკემბერს, კომპანიის მიერ მთლიანი ნასესხები სახსრები წარმოადგენდა ორ რევოლვირებად საკრედიტო ხაზს სს „თიბისი ბანკში“ (2020 წლის 31 დეკემბერი: სს „თიბისი ბანკი“) წლიური საპროცენტო განაკვეთით 13,5 % და 15 (2020 წლის 31 დეკემბერი: 11% და 11,85%).

შეთანხმებულ პირობებთან შესაბამისობისთვის იხილეთ შენიშვნა 22.

14 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ანალიზს და კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს ყოველი წარდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილია, როგორც ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:

	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი			2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი		
ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	იჯარის ვალდებულებები	სულ	ნასესხები სახსრები	იჯარის ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 1 იანვრის მდგომარეობით	**51,182**	**2,083**	**53,265**	**48,846**	**2,436**	**51,282**
ფულადი ნაკადები						
სესხის შემცირება	490,311	-	490,311	382,357	-	382,357
ძირი თანხის დაფარვა	(463,359)	(1,094)	(464,453)	(379,935)	(933)	(380,868)
პროცენტის დაფარვა	(2,245)	(160)	(2,405)	(2,367)	(153)	(2,520)
არაფულადი ცვლილებები						
პროცენტის დარიცხვა	2,584	160	2,744	2,281	153	2,434
ახალი იჯარები	-	842	842	-	295	295
სავალუტო კორექტირებები	-	(106)	(106)	-	285	285
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 31 დეკემბერს	**78,473**	**1,725**	**80,198**	**51,182**	**2,083**	**53,265**

15 სავაჭრო და სხვა ვალდებულება

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 7)	37,832	56,176
სავაჭრო ვალდებულებები	4,173	7,814
დარიცხული ხელმძღვანელობის ხარჯები (შენიშვნა7)	1,545	1,405
სხვა დარიცხული ვალდებულებები	3,494	2,017
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	**47,044**	**67,412**
სახელფასო ვალდებულებები	471	435
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**47,515**	**67,847**

16 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ათასი ლარი	**2021**	**2020**
ამონაგები სიგარეტის რეალიზაციიდან	518,976	467,118
ამონაგები გასახურებელი თამბაქოს რეალიზაციიდან	73,045	21,774
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**592,021**	**488,892**

მთლიანი ამონაგები 592,021 ათასი ლარის ოდენობით სრულად გამომუშავებულია შპს GDI-სგან (2020: 488,892 ათასი ლარი).

კომპანია აწარმოებს ამონაგებს საქონელის გადაცემის დროს, ერთადერთ გეოგრაფიულ ლოკაციაზე.

17 რეალიზაციის თვითღირებულება

ათასი ლარი	**2021**	**2020**
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება-სიგარეტი	492,029	407,046
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება-გასახურებელი თამბაქო	67,886	56,302
სულ, რეალიზაციის თვითღირებულება	**559,915**	**463,348**

18 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

ათასი ლარი	**2021**	**2020**
საკონსულტაციო ხარჯები	(4,929)	(3,977)
სახელფასო ხარჯები	(4,491)	(4,138)
ხელმძღვანელობის ხარჯები	(4,149)	(3,444)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(3,502)	(1,549)
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,300)	(1,248)
ოფისის ხარჯები	(264)	(262)
უსაფრთხოების ხარჯები	(212)	(220)
სარემონტო და მოვლა-შენახვის დანახარჯები	(151)	(47)
დაზღვევის ხარჯები	(151)	(156)
თანამშრომელთა ბონუსები	(139)	(221)
საწვავის ხარჯები	(119)	(132)
კომუნიკაციის ხარჯები	(111)	(184)
სამივლინებო ხარჯები	(83)	(108)
მოგების გადასახადის გარდა გადასახდელი გადასახადები	(47)	(38)
ტრენინგები თანამშრომლებისთვის	(5)	(14)
სასაწყობო ხარჯები	-	-
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	**(19,653)**	**(15,738)**

საკონსულტაციო დანახარჯები 70 ათასი ლარის ოდენობით (2020: 75 ათასი) მოიცავს აუდიტისა და სხვა პროფესიონალური მომსახურების საფასურს, რომელიც გაწეული იქნა აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

19 მარკეტინგის დანახარჯები

ათასი ლარი	**2021**	**2020**
მარკეტინგის მარაგების დანახარჯები	(3,305)	(1,381)
სავაჭრო მარკეტინგის ხარჯები	(3,132)	(1,192)
ბაზრის კვლევების დანახარჯები	(172)	(149)
პროდუქტის დიზაინის ხარჯები	(151)	(74)
სულ მარკეტინგის დანახარჯები	**(6,760)**	**(2,796)**

20 სხვა საოპერაციო ხარჯი, ნეტო

ათასი ლარი	2021	2020
უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობა/ (ზარალი), ნეტო	1,609	(2,414)
სხვა საოპერაციო შემოსულობა /(ხარჯი), ნეტო	(750)	(648)
საბანკო მომსახურების საფასური და ხარჯები	(56)	(31)
ჯარიმები/საურავები	(13)	(10)
ქველმოქმედების ხარჯები	-	(225)
სულ, სხვა საოპერაციო შემოსულობა /(ხარჯი), ნეტო	**790**	**(3,328)**

21 ფინანსური ხარჯები, ნეტო

ათასი ლარი	2021	2020
ბანკისგან ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯები	(2,584)	(2,281)
საპროცენტო ხარჯი იჯარის ვალდებულებაზე	(160)	(153)
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე	3	5
ფინანსური ხარჯები, ნეტო	**(2,741)**	**(2,429)**

22 გაუთვალისიწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიის წინააღმდეგ ზოგჯერ სასამართლოში შეაქვთ სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული რჩევის საფუძველზე ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ანარიცხებს არ ასცდება აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება.

საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ მან ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები, შესაბამისი კანონმდებლობის განმარტება სათანადოა და კომპანიის საგადასახადო პოზიციები შენარჩუნდება.

საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა ზოგადად შეესაბამება საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებს, რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) მიერ, თუმცა მას გააჩნია სპეციფიური თვისებები. ეს კანონმდებლობა განაპირობებს დამატებითი საგადასახადო შეფასების შესაძლებლობას კონტროლირებული ოპერაციებისათვის (ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის და გარკვეული ოპერაციები დაუკავშირებელ მხარეებთან), თუ მსგავსი ოპერაციები არ ხორციელდება „გაშლილი ხელის მანძილის“ საფუძველზე. ხელმძღვანელობამ დანერგა შიდა კონტროლი, რომელიც შესაბამისობაშია სატრანსფერო ფასების კანონმდებლობასთან.

22 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

კონტროლირებული ოპერაციებიდან წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება, მათი ფაქტობრივი გარიგების ფასების საფუძველზე. შესაძლებელია სატრანსფერო ფასების წესების ინტერპრეტაციების განვითარებით მსგავსი სატრანსფერო ფასების გამოწვევის წინაშე დაყენება. ნებისმიერი მსგავსი გამოწვევის გავლენის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია; ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ კომპანიას არ გააჩნია სატრანსფერო ფასწარმოქმნის რისკი დასრულებული პერიოდისთვის (2020: არცერთი) და გეგმავს შეინარჩუნოს კომპანიის სატრანსფერო ფასწარმოქმნის პოზიციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოზე ზიანის მიყენებისათვის.

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. კომპანიამ უნდა შეასრულოს გარკვეული შეთანხმებული ფინანსური პირობები, რომლებიც, ძირითადად, დაკავშირებულია მის მიერ ნასესხებ სახსრებთან. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია არ იყო შესაბამისობაში შეთანხმებულ პირობებთან. ასეთი შეთანხმებული პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება შედეგად გამოიწვიოს ბანკისგან უარი კომპანიის კრედიტის შემდგომი გაცემის მოთხოვნაზე და ასევე, ბანკმა შესაძლოა მოითხოვოს კომპანიისგან კრედიტის სრულად გადახდა დარიცხულ პროცენტებთან და ჯარიმებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ბანკს არ უსარგებლია თავისი უფლებებით და არ ჰქონია მოთხოვნა კრედიტის თანხის დაუყონებლივ გადახდაზე. იხილეთ შენიშვნა 27.

დარღვევის გამო კომპანიის ნასესხები სახსრები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები, თუმცა, საკრედიტო ხაზებს თითოეულ ხელშეკრულებაზე ვადა ერთ წელზე ნაკლები აქვს და უკვე წარმოდგენილია როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ზემოაღნიშნული საკითხი გავლენას ახდენს ლიკვიდურობის რისკის გამჟღავნების წარდგენაზე. იხილეთ შენიშვნა 23.

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ინფორმირებულობა და საზრუნავი კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ის გაიცემა იმ ბაზრებზე, სადაც კომპანია ოპერირებს.

23 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციის და კონტრაჰენტებთან სხვა გარიგებებს შედეგად, რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიას სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია, ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

ზღვრები. კომპანია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის მისაღები რისკის ოდენობაზე ზღვრების დაწესებით ერთ კონტრაჰენტთან, ან კონტრაჰენტების ჯგუფთან დაკავშირებით. საკრედიტო რისკის ზღვრების დაწესება ხელმძღვანელობის მიერ რეგულარულად მტკიცდება. მსგავსი რისკების მონიტორინგი ხორციელდება მუდმივ რეჟიმში და ექვემდებარება წლიურად, ან უფრო მეტი სიხშირით გადახედვას.

საკრედიტო ზღვრები ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ ანალიზს ექვემდებარება და მის მიერვე მტკიცდება. საკრედიტო რისკის არსებობის მონიტორინგის განსახორციელებლად, იქმნება რეგულარული ანგარიშები სტრუქტურირებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ორიენტირებულია კლიენტის ბიზნეს და ფინანსურ წარმადობაზე. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება მომხმარებელთან უარყოფითი კრედიტუნარიანობით, მოხსენებულია და განხილულია ხელმძღვანელობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაჰენტების წარმადობას და თვალყურს ადევნებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. *ECL* არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (მაგ., საკრედიტო ზარალის შეწონილი საშუალო, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ხდომილებები). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით. ECL-ის შეფასება ემყარება კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა (“PD”), დეფოლტის რისკი (“EAD”), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”) და დისკონტირების განაკვეთი.

PD არის დეფოლტის ალბათობის შეფასება, რომელიც მოსალოდნელია რომ მოხდეს დროის მოცემულ პერიოდში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”) არის დეფოლტის დროს წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც მოსალოდნელია, რომ გამსესხებელი მიიღებს, უზრუნველყოფიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადის ჩათვლით. მოსალოდნელი ზარალი დისკონტირდება ამჟამინდელ ღირებულებამდე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.. დისკონტორების განაკვეთი არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (“EIR”) ფინანსური ინსტრუმენტისათვის ან მასთან მიახლოებული.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მოდელირებულია ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდზე. სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდი უტოლდება სავალო ინსტრუმენტების დაფარვამდე დარჩენილ სახელშეკრულებო პერიოდს, დაკორექტირებულს მოსალოდნელი გადახდილი ავანსებისთვის, თუ ასეთი არსებობს. ხელმძღვანელობა ქმნის *სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ECL* მოდელს, რაც გულისხმობს ზარალს, რომელიც წარმოიქმნება ამ ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი მომსახურების ვადის პერიოდში ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევაში. *12-თვიანი ECL* წარმოადგენს *მომსახურების ვადის განმავლობაში ECL*-ის ნაწილს, რაც განპირობებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, ან ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი *სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდში*, თუ ეს წელზე ნაკლებია, ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის შემთხვევებით.

ECL, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ ამ ფინანსური ინსტრუმენტებისთვისაა შეფასებული, წარმოადგენს შეფასებას დროის მომენტში, ნაცვლად ციკლის განმავლობაში შეფასებებისა, რომლებიც საზოგადოდ გამოიყენება რეგულირების მიზნებისთვის. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ *პერსპექტიულ ინფორმაციას,* ანუ ECL ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე, ალბათობით შეწონილ ცვლილებას.

PD შეფასების მიზნებისთვის, კომპანია საზღვრავს დეფოლტს, როგორც სიტუაციას, რომელიც ერთ ან რამოდენიმე ჩამოთვლილ კრიტერიუმს შეესაბამება:

- მსესხებელმა 90 დღეზე მეტი გადააცილა გადახდის სახელშეკრულებო ვადებს;
- მსესხებელი ხვდება ნაკლებსავარაუდო გადამხდელთა სიაში:
  - მსესხებელი გარდაცვლილია;
  - მსესხებელი გადახდისუუნაროა;
  - მსესხებელი არღვევს ფინანსურ პირობით შეთანხმებებს;
  - სავარაუდოა, რომ მსესხებელი გაკოტრდება; და

გამჭვავნების მიზნით, კომპანიამ სრულად შეუსაბამა დეფოლტის განსაზღვრება კრედიტ-გაუფასურებული აქტივების განსაზღვრებასთან. ზემოთ ხსენებული დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება კომპანიის ყველა ტიპის აქტივებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად კომპანია იყენებს ინდივიდუალურ მიდგომას. კომპანია ახორციელებს ინდივიდუალურ შეფასებას ყველა სავაჭრო მოთხოვნის ნაშთებისთვის.

ECL-ის ინდივიდუალურად შეფასება ხდება საკრედიტო ზარალის სხვადასხვა შესაძლო შედეგის შეფასების შეწონვით თითოეული შედეგის ალბათობით. კომპანია განსაზღვრავს სულ მცირე ორ შესაძლო შედეგს თითოეული შეფასებული სესხისთვის, საიდანაც ერთ-ერთი განაპირობებს საკრედიტო ზარალს, თუნდაც მსგავსი შედეგის ალბათობა ძალიან დაბალი იყოს. ინდივიდუალური შეფასება ძირითადად ეფუძნება ხელმძღვანელობის საექსპერტო განსჯას. როგორც წესი, საექსპერტო განსჯის ტესტირება ხდება, რათა შემცირდეს შეფასებულ და ფაქტობრივ ზარალს შორის სხვაობა.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის გამოთვლის ძირითადი პარამეტრები. PD არის ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი მომსახურების ვადაში დეფოლტის მოხდენის შეფასებული ალბათობა და წარმოადგენს ინსტრუმენტის მომსახურების ვადაში 12-თვიანი PD-ების ჯამს. კომპანია PD-ს გამოსათვლელად იყენებს დეფოლტის ისტორიულ მონაცემებს.

LGD არის კომპანიის ზარალისა და დეფოლტის რისკის მოლოდინი. LGD იცვლება პარტნიორის ტიპის, პრეტენზიის ტიპისა და რანგის, უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობის ან სხვა კრედიტის გამამყარებელი ფაქტორის მიხედვით. 12-თვიანი და მომსახურების ვადის LGD-ები განისაზღვრება ისეთი ფაქტორების საფუძველზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენენ დეფოლტის შემთხვევაში ანაზღაურებაზე. LGD-ის შეფასების მეთოდი შეიძლება სამ მიდგომად დაიყოს:

- LGD-ის შეფასება უზრუნველყოფის სპეციფიკური მახასიათებლების საფუძველზე;
- ინდივიდუალურად განსაზღვრული LGD, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებსა და სცენარებზე.

კომპანია LGD-ს გამოითვლის უზრუნველყოფის სპეციფიკური მახასიათებლების საფუძველზე, როგორიცაა მაგალითად უზრუნველყოფის საპროგნოზო ღირებულება, წარსული ფასდათმობები გაყიდვისას და სხვა ფაქტორები უძრავი ქონებით, ფულითა და ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი სესხებისთვის. LGD გამოითვლება კოლექტიური მეთოდით, კორპორაციული სასესხო პორტფელისა და საცალო უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი პროდუქტების დარჩენილ ვადაში ამოღების შესახებ უახლესი ხელმისაწვდომი სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე.

ECL მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. ECL-ის გამოთვლა გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. კომპანიამ გამოავლინა გარკვეული მთავარი ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განვითარებასთან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველწლიურად და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო ხუთ წელში.

ხუთი წლის შემდეგ საშუალოს რევერსიის მეთოდი გამოიყენება, რომელიც გულისხმობს, რომ ეკონომიკური ცვლადები უბრუნდება გრძელვადიან საშუალოს (მაგ., უმუშევრობა) ან გრძელვადიან საშუალო ზრდის ტემპს (მაგ., მშპ). შესაფერისი ეკონომიკური ცვლადების გავლენა PD-ზე და LGD-ზე განისაზღვრა სტატისტიკური რეგრესიის ანალიზით, ისტორიულად ამ ცვლადების ცვლილების საბაზისო განაკვეთებსა და LGD-ის და EAD-ის კომპონენტებზე გავლენის გასაგებად.

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. 2021 წლის 31 დეკემბერს კომპანიას ჰყავდა ერთი კონტრაჰენტი (2020 წლის 31 დეკემბერს; ერთი) მოთხოვნების ნაშთით ₾ 19,911 ათასი (2020 წლის 31 დეკემბერი: ₾ 19,856 ათასი) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა მოთხოვნები შეადგენდა 64 ათას ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: 86 ათასი ლარი).

კომპანიის საბანკო დეპოზიტები განთავსებულია ორ ბანკში: სს ”თიბისი ბანკი“ და „საქართველოს ბანკი“, რითაც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკის კონცენტრაციას.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით, ასახულია ფინანსურ აქტივებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 9)		
- სავაჭრო მოთხოვნები	28,297	26,323
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 11)		
- მოთხოვნამდე გადასახადი საბანკო ნაშთები	23	16
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმუმი	**28,320**	**26,339**

კომპანიის ხელმძღვანელობა ახორციელებს სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს და თვალყურს ადევნებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს. შედეგად, ხელმძღვანელობა, საკრედიტო რისკის ხანდაზმულობისა და მის შესახებ სხვა ინფორმაციის მიწოდებას მიზანშეწონილად მიიჩნევს (იხ. შენიშვნა 9).

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი მგრძნობელობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2021 წლის 31 დეკემბერი			2020 წლის 31 დეკემბერი		
ათასი ლარი	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	19,997	88,886	(63,888)	19,946	58,485	(38,540)
აშშ დოლარი	8,322	40,780	(32,458)	6,394	58,713	(52,319)
შვეიცარული ფრანკი	1	439	(438)	-	523	(523)
ევრო	-	2,138	(2,138)	-	2,956	(2,956)
სულ	**28,320**	**127,243**	**(98,924)**	**26,340**	**120,677**	**(94,338)**

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტირება და არაფულადი აქტივები არ არის გათვალისწინებული სავალუტო რისკების შეფასებისას.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(5,353)	5,108
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	5,353	5,108

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში დენომინირებული ფულადი ნაშთებისათვის, რომლებიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შედეგად მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე მოსალოდნელ რისკებს. საპროცენტო მარჟა შეიძლება გაიზარდოს ასეთი ცვლილებების შედეგად, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი მოულოდნელი მოძრაობების წარმოქმნის შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ყოველდღიურად აკონტროლებს და ადგენს ზღვრებს საპროცენტო განაკვეთის გადაფასების შეუსაბამობის დონეზე, რომელსაც, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც, ძირითადად, მოიცავს ნასესხებ სახსრებს. კომპანია ფონდების ინვესტირებას ახორციელებს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა შეძლოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებზე სწრაფად და მშვიდად რეაგირება. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 11). ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, აღნიშნული ლიკვიდური პორტფელი, რომელიც მოიცავს ფულს, საბანკო დეპოზიტებს შეიძლება რეალიზებულ იქნეს ფულად სახსრებად, ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენები ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოური ვალუტით გადახდები კონვერტირებულია სფოთ (spot) გაცვლითი კურსით ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბერს:

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	მოთხოვნა 2 თვემდე ვადაში	2-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	ერთ წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 15)	67,412	-	-	-	**67,412**
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 13)	500	41,239	11,746	-	**53,485**
იჯარის ვალდებულებები	95	442	610	1,144	**2,291**
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**68,007**	**41,681**	**12,356**	**1,144**	**123,188**

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 2 თვემდე ვადაში	2-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	ერთ წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 15)	47,044	-	-	-	**47,044**
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 13)	78,473	-	-	-	**78,473**
იჯარის ვალდებულებები	95	442	609	785	**1,931**
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**126,083**	**442**	**609**	**785**	**127,448**

24 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის, კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიერ მართული კაპიტალის ოდენობა, რომელსაც კომპანია მართავდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 10,394 ათას ლარს. (2020: 6,528 ათასი ლარი).

25 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში. რეალური ღირებულების იერარქიის დონეები, რომელთა მიხედვით ხდება რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, გახლავთ შემდეგი:

	2021 წლის 31 დეკემბერი				2020 წლის 31 დეკემბერი			
ათასი ლარი	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	23	-	-	**23**	16	-	-	**16**
- სავაჭრო მოთხოვნები	-	28,297	-	**28,297**	-	26,323	-	**26,323**
სულ აქტივები	**23**	**28,297**	**-**	**28,320**	**16**	**26,323**	**-**	**26,339**
ვალდებულებები								
- ნასესხები სახსრები	-	78,473	-	**78,473**	-	51,181	**-**	**51,181**
- სავაჭრო დავალიანებები	-	47,044	-	**47,044**	-	67,412	**-**	**67,412**
სულ ვალდებულებები	**-**	**125,517**	**-**	**125,517**	**-**	**118,593**	**-**	**118,593**

რეალური ღირებულებები იერარქიის მეორე და მესამე დონეებში შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების საშემფასებლო ტექნიკის გამოყენებით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომელიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე შეფასდა საბალანსო ღირებულების თანაბრად. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, რომელშიც გამოყენებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, ახალი ინსტრუმენტისთვის დამახასიათებელი მსგავსი საკრედიტო რისკითა და დარჩენილი დაფარვის ვადებით.

25 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები. მცოცავ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია რომ იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების რეალური ღირებულება განისაზღვრა კოტირებული მოთხოვნილი ფასის საფუძველზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტებს შეფასებული რეალური ღირებულება შეფასებულ იქნა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. სავაჭრო დავალიანებების და სხვა ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები დაახლოებულია რეალურ ღირებულებებთან მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო.

26 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის, ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ახდენს შემდგომ კატეგორიებად: (a) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; b) სავალო ინსტრუმენტები FVOCI-ს მეშვეობით, (c) წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ს მეშვეობით და (c) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზირებული ღირებულებით. ფინანსური აქტივებს FVTPL-ით გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: (i) აქტივები, რომლის შეფასებაც სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, აღნიშნული როგორც ასეთი, თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ.
.

27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

გაყიდვების ხელშეკრულება. 2022 წლის იანვრიდან კომპანიამ GDI-თან ხელშეკრულება იგივე პირობებით გაახანგრძლივა. ხელშეკრულების ახალი ვადის თარიღია 2023 წლის 31 დეკემბერი.

რუსეთ/უკრაინის კონფლიქტი. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი. საერთაშორისოდ განხილული, როგორც საომარი აგრესია და შეჭრა, ეს წარმოადგენს ყველაზე ფართომასშტაბიან სამხედრო თავდასხმას ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამ ომმა ევროპაში ყველაზე დიდი ლტოლვილთა კრიზისი გამოიწვია, 3,7 მილიონზე მეტმა უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და მილიონობით სხვამ მიატოვა სახლები. უკრაინაში კონფლიქტის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ დაუწესა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთს და მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე ღირებულების მნიშვნელოვანი ვარდნა რუსეთში და სხვა ბაზრებზე არსებული რუსული კომპანიებისთვის. უამრავმა კომპანიამ მისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელორუსიიდან გაიტანა. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გამო, თამბაქოს ტრადიციული ნაწარმის კომპანიის ერთპიროვნულმა მიმწოდებელმა, რომელიც წარმოადგენს კომპანიის დაკავშირებულ მხარეს - "Philip Morris Ukraine PrJSC" შეწყვიტა მუშაობა და დაიხურა მისი წარმოების ცენტრი ხარკოვის რაიონში. 2022 წლის თებერვალში კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება პროდუქციის ალტერნატიული მიმწოდებლების მოძიებაზე. 2022 წლის მარტში გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება სადისტრიბუციო ხელშეკრულებაზე Philip Morris Product S.A.-სთან Philip Morris Georgia-სთვის სიგარეტების მიწოდებაზე წარმოების ცენტრი Philsa-დან (თურქეთი). თურქეთიდან სიგარეტის

მიწოდება 2022 წლის აპრილში იგეგმება. მზა საქონელი საზღვაო გზების ნაცვლად სახმელეთო ტრანსპორტით იქნება მიწოდებული, თუმცა გადაზიდვის პირობები უცვლელი რჩება. კომპანია გეგმავს შეინარჩუნოს ურთიერთობა Philip Morris Product SA-სთან სიგარეტების მიწოდებაზე, სანამ კრიზისი არ მოგვარდება. შეთანხმების პირობები იგივე დარჩა, როგორც ეს დადგენილი იყო Philip Morris Ukraine PrJSC-თან.

ხელმძღვანელობა კონფლიქტს უკრაინაში საბალანსო უწყისის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ამას არ ექნება შესამჩნევი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

იმის გამო, რომ კონფლიქტი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს ის სრული გავლენა, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვევლობაა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ მდგომარეობას არსებულ გარემოებებში.

ნასესხები სახსრები . 2022 წლის აპრილში კომპანიამ სს თიბისი ბანკისგან მიიღო მოკლევადიანი საკრედიტო ხაზი 30 მილიონი ლარის ოდენობით საბრუნავი კაპიტალის საჭიროებების დასაფინანსებლად. საკრედიტო ხაზი ვადაა 2023 წლის 5 იანვარი.

2022 წლის აპრილში კომპანიამ სრულად დაფარა მისი დასაფარი ნასესხები სახრები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სადაც ადგილი ჰქონდა შეთანხმებული პირობების დარღვევას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს ფილიპ მორის საქართველო

მმართველობის ანგარიშგება- საქმიანობის მიმოხილვა, 2021 წელი.

საწარმოს ბიზნეს განვითარება, წარმადობა და პოზიცია

შპს ფილიპ მორის საქართველო (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა როგორ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს რეგულაციების მიხედვით 2010 წლის 17 სექტემბერს, სათაო ოფისით თბილისში, საქართველოში. კომპანიის უშუალო მშობელი საწარმო არის Philip Morris Sarl, რომელიც ფლობს აქციების 100%. მისი საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, ისევე, როგორც Philip Morris International-ის შიდა პროცედურებით.

კომპანიის მთავარი ბიზნეს საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე სიგარეტისა და გასახურებელი თამბაქოს იმპორტი, განბაჟება და საბითუმო გაყიდვებია. კომპანიის ობიექტები მდებარეობს საქართველოში, ოფისებით თბილისსა და ბათუმში,

2021 წელს კომპანიამ აღრიცხა მთლიანი ამონაგები 592,021,413 ლარის ოდენობით და მთლიანი მოგება 32,106,697 ლარის ოდენობით, რაც მთლიანი მოგების მარჟაში კონვერტირდება როგორც 5.4%. 2021 წლის წმინდა მოგებამ 3 865 610 ლარი შეადგინა.

2020 წელს, კომპანიამ აღრიცხა მთლიანი ამონაგები 488,891,653 ლარის ოდენობით და მთლიანი მოგება 25,543,851 ლარის ოდენობით, რაც მთლიანი მოგების მარჟაში კონვერტირდება როგორც 5.2%. 2020-ში, წმინდა მოგებამ შეადგინა 1,315,336. ლარი.

გამოსაყენებელი კაპიტალის მომგებიანობამ შეადგინა 61% 2021 წელს, 2020 წლის 50%-ის საპირისპიროდ.

საწარმოს სამომავლო განვითარების გეგმები

ფილიპ მორის საქართველო გეგმავს რომ შეინარჩუნოს მისი პოზიცია საქართველოს თამბაქოს ბაზარზე და განახორციელოს ინვესტირება თამბაქოს ინდუსტრიის ტრანსფორმირებაში, მისი გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების შესახებ ინფორმაციულობის გაზრდით, რომელიც 2020 წელს ამოქმედდა,

საწარმოს მიერ განხორციელებული კვლევების და განვითარების მიმოხილვა.

კომპანია არ იყო ჩართული კვლევით და განვითარების საქმიანობაში 2021 წელს.

ინფორმაცია საწარმოს ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები. სტრუქტურული ერთეულები მდებარეობს ორ ქალაქში, მთავარი ოფისი მდებარეობს თბილისში და რეგიონალური გაყიდვებისა და დისტრიბუციის განყოფილება-ბათუმში.

მთავარი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები

მთავარი ფინანსური მაჩვენებლები:

	ლარი	2021	2020	სხვადასხვაობის განმარტება
1	მთლიანი ამონაგები	592,021,413	488,891,653	Higher sales volumes and increased prices, optimization of expenses.
2	მთლიანი მოგება	32,106,697	25,543,851	
3	წმინდა მოგება	3,865,610	1,315,337	
4	მთლიანი მოგების მარჟა	5.4%	5.2%	

მთავარი არა-ფინანსური მაჩვენებლები:

		2021	2020
1	ბრენდების რაოდენობა პორტფელში	6	6
2	მარაგების მთავარი ერთეულების საშუალო რაოდენობა	36	35

საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ დეტალური ინფორმაცია

კომპანიას არ შეუძენია საკუთარი აქციები 2021 წლის განმავლობაში.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

კომპანიის წმინდა სამუშაო კაპიტალი შეიცვალა 790,127 ლარიდან 2020 წელს 4,109,677 ლარით 2021 წელს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს მიმდინარე შეფარდება (ლიკვიდურობის შეფასება) იყო 1.03.

საწარმოს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

კომპანია ჰყიდის იმპორტირებულ სიგარეტს და გასახურებელ თამბაქოს დისტრიბუტორზე იმ გადახდის პირობებით, რომლებიც დისტრიბუციის შეთანხმებაშია განსაზღვრული. ყველა გადახდები ხორციელდება ელექტრონული გადარიცხვით კომპანიის ანგარიშზე და 2021 წლის განმავლობაში, შეყოვნება გადახდებში არ დაფიქსირებულა.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სიგარეტის და გასახურებელი თამბაქოს შესყიდვა განხორციელდა უცხოურ ვალუტაში, საკრედიტო პირობებით და გაყიდვები განხორციელდა ადგილობრივ ვალუტაში, ფილიპ მორის საქართველოს მუდმივად გააჩნია სავალუტო ზარალის პოტენციური რისკი. სავალუტო რისკის შესამცირებლად, კომპანია მუდმივად ახორციელებს უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების რყევების ტენდენციების, საბაზრო საპროცენტო და ინფლაციის განაკვეთების მონიტორინგს.

კოვიდ -19 -ის გავლენა

ახალმა კორონავირუსმა არანაირი გავლენა არ იქონია შპს ფილიპ მორის საქართველოს საქმიანობაზე.

მთავარი რისკები და გაურკვევლობები უკავშირდება შემდგომს:

	რისკისა და გაურკვევლობის განმარტება	**ხელმძღვანელობის რეაგირება**
1	აქციზის ზრდა - ინფლაციისა და ხელთ არსებული შემოსავლის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს უკანონო ვაჭრობის გაზრდა და სამომხმარებლო ვაჭრობა დაბალ ფასიან პროდუქტებზე, რაც გავლენას მოახდენს კომპანიის გაყიდვების მოცულობაზე, შემოსავლებსა და მომგებიანობაზე.	მხარი დაეჭიროს მდგრად ხანგრძლივ საგადასახადო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს წინასწარგანჭვრეტად საგადასახადო შემოსავალს მთავრობისთვის და ხელს შეუშლის უკანონო პროდუქტების შემოდინებას და ამავდროულად უფლებას მისცემს იმპორტიორებს გააგრძელონ საქმიანობა.
2	სავალუტო რისკი- პროდუქციის შესყიდვის ნაწილი ხორციელდება უცხოურ ვალუტაში საკრედიტო პირობებით, როდესაც გაყიდვები ხორციელდება ადგილობრივ ვალუტაში. არსებობს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შედეგად პოტენციური ზარალის რისკი.	განხორციელდეს უცხოური ვალუტის გაცვლის, საპროცენტო, ბაზარზე ინფლაციის, სამომავლო პერსპექტივების ჩათვლით მონიტორინგი, შენარჩუნდეს ხელშეკრულებების დიდი ნაწილი ადგილობრივ ვალუტაში.
3	თამბაქოს კონტროლის კანონის აღსრულების გაურკვეველი პრაქტიკა პროგრესული შეზღუდვებით, რომელიც დამტკიცდა 2017 წელს და რომელიც ძალაში შედის მომდევნო წლებში.	განხორციელდეს ყველა სამართლებრივი დებულების დაცვის და სრული შიდა შესაბამისობის უზრუნველყოფა დადგენილ ვადებში. მჭიდრო მონიტორინგის განხორციელება სააღსრულებო პრაქტიკაზე, ორგანიზაციის ადაპტაციის საჭიროების შემთხვევაში.

2022 წლის 29 აპრილი

_____ _____

იური გორდოკ
გენერალური დირექტორის მოადგილე

ქეთევან ხარაძე
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე

შპს ფილიპ მორის საქართველო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1 კომპანია და მისი საქმიანობა 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 5
3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 6
4 მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 17
5 ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება 19
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები 21
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 27
8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 28
9 მარაგები 29
10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 29
11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31
12 საწესდებო კაპიტალი 31
13 ნასესხები სახსრები 31
14 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება 32
15 სავაჭრო და სხვა ვალდებულება 32
16 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 33
17 რეალიზაციის თვითღირებულება 34
18 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები 34
19 მარკეტინგის დანახარჯები 34
20 სხვა საოპერაციო ხარჯი, ნეტო 35
21 ფინანსური ხარჯები, ნეტო 35
22 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 35
23 ფინანსური რისკის მართვა 37
24 კაპიტალის მართვა 42
25 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება 43
26 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით 44
27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 44

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება– საქმიანობის მიმოხილვა 2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ფილიპ მორის საქართველოს ხელმძღვანელობას და მესაკუთრეს:

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ფილიპ მორის საქართველოს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*- ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის

ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ, ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს არსებითი უზუსტობა, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის სამუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2022 წლის 29 აპრილი
თბილისი, საქართველო

ათასი ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	8	5,283	6,718
აქტივების გამოყენების უფლება		1,487	1,635
სულ გრძელვადიანი აქტივები		**6,770**	**8,353**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	98,927	88,496
სხვა საგადასახადო აქტივები		3,953	4,351
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	28,434	26,423
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	23	16
სულ მოკლევადიანი აქტივები		**131,337**	**119,286**
სულ აქტივები		**138,107**	**127,639**
კაპიტალი			
საწესდებო და გადახდილი კაპიტალი	12	552	552
გაუნაწილებელი მოგება		9,842	5,976
სულ კაპიტალი		**10,394**	**6,528**
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
იჯარის ვალდებულებები		486	1,035
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**486**	**1,035**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	13,14	78,473	51,182
იჯარის ვალდებულებები		1,239	1,047
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	47,515	67,847
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**127,227**	**120,076**
სულ ვალდებულებები		**127,713**	**121,111**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**138,107**	**127,639**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2022 წლის 29 აპრილს:

იური გორდოკი
გენერალური დირექტორის მოადგილე

ქეთევან ხარაძე
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-45 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ფილიპ მორის საქართველო
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	16	592,021	488,892
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	17	(559,915)	(463,348)
მთლიანი მოგება		**32,106**	**25,544**
სხვა შემოსავალი		124	62
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(19,653)	(15,738)
მარკეტინგის ხარჯები	19	(6,760)	(2,796)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ (ზარალი), ნეტო	20	790	(3,328)
საოპერაციო მოგება		**6,607**	**3,744**
ფინანსური ხარჯები, ნეტო	21	(2,741)	(2,429)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**3,866**	**1,315**
მოგების გადასახადის ხარჯები		-	-
წლის მოგება		**3,866**	**1,315**
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**3,866**	**1,315**

შპს ფილიპ მორის საქართველო
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	საწესდებო და გადახდილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	**552**	**4,661**	**5,213**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,315	1,315
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**552**	**5,976**	**6,528**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	3,866	3,866
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**552**	**9,842**	**10,394**

შპს ფილიპ მორის საქართველო
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		3,866	1,315
შესწორებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	18	1,982	720
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა		991	829
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	18	529	-
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობები, შემცირებული ზარალით		(105)	-
საპროცენტო შემოსავალი	21	(3)	(5)
საპროცენტო ხარჯი ნასესხების სახსრებისთვის	21	2,584	2,281
საპროცენტო ხარჯი იჯარის ვალდებულებებისთვის	21	160	153
სავალუტო ოპერაციებიდან წმინდა ზარალი/(შემოსულობა)	20	(1,609)	2,414
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**8,395**	**7,707**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(2,011)	(26,336)
მარაგიები		(10,431)	931
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(18,421)	23,574
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები		**(30,863)**	**(1,831)**
მიღებული პროცენტი		3	5
ნასესხები სახსრებისთვის გადახდილი პროცენტი	13,14	(2,245)	(2,367)
იჯარის ვალდებულებისთვის გადახდილი პროცენტი	13,14	(160)	(153)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (საქმიანობაში გამოყენებული)		**(24,870)**	**3,361**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(1,110)	(3,295)
არამატერიალური აქტივების შეძენა	8	-	(1,581)
შემოსულობები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		129	19
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		**(981)**	**(4,857)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	13,14	490,311	382,357
ნასესხები სახსრების გადახდა	13,14	(463,359)	(379,935)
იჯარის ვალდებულების ძირი თანხის გადახდა	14	(1,094)	(933)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**25,858**	**1,489**
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**7**	**(7)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**16**	**23**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		**23**	**16**

1 კომპანია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების მიხედვით,2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, შპს ფილიპ მორის საქართველოსთვის (შემდგომში „კომპანია“ ან „ფი-ემ-ჯი“)

კომპანია დაფუძნდა 2010 წლის 17 სექტემბერს და მისი ადგილმდებარეობა საქართველოშია. კომპანია დაფუძნებულია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, რეგისტრაციის ნომრით: 404387374. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია, რომელიც მისი აქციების 100%-ს ფლობს, გახლდათ Philip Morris Sarl., რომლის საბოლოო მესაკუთრეა Philip Morris International Inc. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნდა საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში სიგარეტის, გასახურებელი თამბაქოსა და დაკავშირებული მოწყობილობების იმპორტი, განბაჟება და ბითუმად გაყიდვაა. კომპანიის ობიექტები მდებარეობს თბილისში, საქართველო.

კომპანიას ერთი მომხმარებელი ჰყავს, შპს GDI, რომელიც კომპანიის პროდუქციის ერთადერთი დისტრიბუტორია.

რეგისტრაციის და საქმიანობის განხორციელების ადგილი. კომპანია დაფუძნებულია შემდეგ მისამართზე: ზაარბრუკენის მოედანი, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში ("₾"), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის 12 მარტს ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე, მათ შორის კომპანიის ოპერაციებზეც.

2021 წელს, საქართველოს ეკონომიკამ პანდემიისგან აღორძინების დადებითი დინამიკა აჩვენა. ამ ტენდენციას ასევე დაეხმარა გლობალური ეკონომიკის აღორძინება და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდა. თუმცა, საქართველოს და გლობალურ ბაზრებზე მაღალი ფასები ასევე ხელს უწყობს ინფლაციას საქართველოში.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. ადმინისტრაციული დეპარტამენტი გადავიდა დისტანციურად მუშაობის რეჟიმში, ხოლო სამუშაო პროცესი საწარმოში შენარჩუნებული იყო ყველა წესის დაცვით.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

იხილეთ შენიშვნა 27 ბოლოდროინდელი საოპერაციო გარემოს შემდგომი განახლებისთვის.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების კონვენციის მეთოდით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. იხილეთ მე-5 შენიშვნა.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტი და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით.

საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, სანამ არ გადააჭარბებს გადაფასების ნამეტს კაპიტალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აქტივისთვის აღიარებულია წინა წლებში, აღდგება საჭიროებისამებრ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალიზაციის თვითღირებულების გამოკლებით აქტივის რეალური ღირებულების განსასაზღვრად გამოყენებულ დაშვებებში განხორციელდა ცვლილებები.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, საოპერაციო შემოსავალში, ან დანახარჯებში.

ცვეთა. დაუმონტაჟებელ საშუალებებს ცვეთა არ ერიცხებათ. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ან გადაფასებული თანხების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დადგენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
ავეჯი, მოწყობილობები და ინვენტარი	1-10
იჯარით აღებული აქტივების გაუმჯობესება	2-5
მონაცემთა დასამუშავებელი ტექნიკა	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	4-15
სხვა	1-5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, შემცირებული შეფასებული გასვლის დანახარჯებით, თუ აქტივს უკვე ის ასაკი და მდგომარეობა ექნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

აქტივების გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს ოფისებსა და საწყობს. ხელშეკრულებების შეიძლება მოიცავდეს ორივეს, საიჯარო და არა საიჯარო კომპონენტებს. კომპანია გადაანაწილებს საზღაურს ხელშეკრულებაში საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებზე მათი განცალკევებითი ფასის საფუძველზე.

იჯარიდან წარმოქმნილი აქტივები თავდაპირველად შეფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივების გამოყენების უფლება შეფასდება თვითღირებულებით და შედგება შემდეგისგან:

- იჯარის ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა, რომელიც განხორციელებულია დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო წამახალისებლებით;
- ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი, და
- აქტივის იჯარის შეთანხმებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე აღდგენის ხარჯები.

აქტივების გამოყენების უფლება საერთოდ გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე. თუ კომპანიას გააჩნია გონივრული რწმუნება, რომ ის გამოიყენებს შესყიდვის ოფციონს, აქტივის გამოყენების უფლებას დაერიცხება ცვეთა მითითებული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივების გამოყენების უფლების მუხლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
შენობა-ნაგებობები	3-დან 5-მდე

არამატერიალური აქტივები გუდვილის გარდა. შეძენილი არამატერიალური აქტივების თავდაპირველად აღიარება ხდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავენ დაგროვილი ამორტიზაციითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	3-5
სხვა საოპერაციო ლიცენზიები	3-5

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება მათი სასარგებლო ეკონომიკური ვადის განმავლობაში და ფასდება გაუფასურებაზე, როდესაც არსებობს ნიშნები, რომ არამატერიალური აქტივები შეიძლება გაუფასურებულია. განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდის გადასინჯვა სულ მცირე, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მაინც უნდა განხორციელდეს. მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან აქტივში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ხასიათის ცვლილებები მიიჩნევა ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის მოდიფიცირებად, საჭიროებისამებრ, და განიხილება როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებში, რაც არამატერიალური აქტივების ფუნქციის თანმიმდევრულია.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი ფასდება, როგორც სხვაობა გასვლიდან მიღებულ წმინდა თანხასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის ნებაყოფლობითი ოპერაციისას ბაზრის მონაწილეთა შორის შეფასების თარიღისთვის მიმდინარე საბაზრო პირობებში. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გავრცელებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტრებულ ფასზე..

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონის შეფასება არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი ემპირიული ამოსავალი მონაცემი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასება, არის შეფასება რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები), მრჩევლებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის და მარეგულირებლებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით *("ECL")*. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შეფასების შემდეგ კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL'), რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ('FVOCI') და ამორტიზებული ღირებულებით ('AC'). ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის; და (ii) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL').

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები– კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას ("SPPI"). ფინანსური აქტივების, ჩართული წარმოებულებით, მთლიანად გათვალისწინება ხდება იმის განსაზღვრისას, ფულადი ნაკადები შესაბამისობაშია თუ არა SPPI მახასიათებელთან. შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა. როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით". SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება. იხილეთ მე-4 შენიშვნა კომპანიის მიერ, მისი ფინანსური აქტივებისთვის SPPI-ს ტესტის შესრულებისას განსჯის გამოყენების შესახებ.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანიას ორი ტიპის ფინანსური აქტივი გააჩნია, რომელიც ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს - სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრებს და მათი ეკვივალენტები.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომლის მიხედვითაც ზარალის რეზერვი ფასდება თანხით, რომელიც ამ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, ხორციელდება სავაჭრო მოთხოვნების დაჯგუფება საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

23-ე შენიშვნაში განმარტებულია ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, მათ შორის იმის ახსნა, კომპანია როგორ ითვალისწინებს პერსპექტიულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მოდელებში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კომპანია გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, ამავე დროს, აქტივის გაყიდვაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც 'შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით' ('AC'), გარდა (i) "რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა" ("FVTPL"): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს, პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანიასა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისგან. ამასთან, ითვალისწინებენ სხვა ხარისხობრივ ფაქტორებსაც, როგორიცაა მაგალითად ვალუტა, რომელშიც ინსტრუმენტია გამოსახული, საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილება, ინსტრუმენტის კონვერსიის ახალი პირობები და სესხის პირობების ცვლილება. როდესაც სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ იწვევს ვალდებულების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის („catch up") მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფინანსური ვალდებულებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით," („FVTPL") შეფასებულის კატეგორია. კომპანიამ შეიძლება გარკვეულ ვალდებულებებს თავდაპირველი აღიარებისას მიანიჭოს *FVTPL* კატეგორია. მსგავსი ვალდებულებებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება, გარდა რეალური ღირებულების ცვლილების თანხისა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი (განისაზღვრება თანხით, რომელიც მიკუთვნებადი არ არის საბაზრო პირობების ცვლილებაზე, რაც წარმოქმნის საბაზრო რისკს), და რომელიც სხვა სრულ შემოსავალში აისახება და შემდეგში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ეს ასეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას, ამ შემთხვევაში ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებზე მიკუთვნებადი შემოსულობა და ზარალი მოგებაში ან ზარალში აისახება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის და რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია ("FVTPL").

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3 საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე. შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

იჯარის ვალდებულებები. იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. იჯარის ვალდებულებები მოიცავს იჯარის ფიქსირებული გადახდების, შემცირებული იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნებით, წმინდა დღევანდელ ღირებულებას:

გაგრძელების შესაძლებლობები შეყვანილია კომპანიის შიგნით ყველა იჯარაში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივების მართვასთან დაკავშირებით. გაგრძელების შესაძლებლობების სარგებლობის უფლება მხოლოდ კომპანიას აქვს და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება. იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივს გამოყენების უფლებით, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია იყენებს საჯაროდ ხელმისაწვდომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს, რომელიც გავრცელებულია საქართველოს ბაზარზე.

იჯარის გადახდები განაწილდება ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება მოკლევადიან იჯარასთან და დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომლების ვადაც 12 თვე ან ნაკლებია.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

3 საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გადასახდელი დღგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადაიდება 5 - 10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელთა დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა 20% ან მეტია.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში მეთოდის გამოყენებით (FIFO). მარაგის თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, იმპორტის გადასახადებისგან, სხვა არა-აღდგენადი გადასახადებისგან, ტრანსპორტირებისა და გადატვირთვის ღირებულებისაგან და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებისაგან, შემცირებული ფასდაკლებებით და მსგავსი კომპონენტებით, რომელიც გაიწევა მარაგების მიმდინარე კონდიციამდე და მდებარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდინება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ინდიკატორი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საწესდებო და გადაბდილი კაპიტალი. კომპანიის გაცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის აქციონერების მიერ. კომპანიის გაცხადებულ კაპიტალში ცვლილებები მხოლოდ აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს.

ყველა სხვა ფულადი და არამატერიალური შენატანები კაპიტალში, რომელიც განხორციელდა აქციონერების მიერ და კომპანიის კაპიტალის ზრდისთვის იქნა გამიზნული, თუმცა არ იქნა ასახული კომპანიის წესდებაში საბალანსო თარიღისათვის, აღიარებულია, როგორც გადახდილი კაპიტალი.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება გაუნაწილებელი მოგებიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიას ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დაბრუნებისა და დღგ-ს გარეშე.

საქონლის გაყიდვა . გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როდესაც მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, და მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, როცა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება, ან კომპანიას გააჩნია ყველა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ამონაგები ფასდათმობითი გაყიდვებიდან აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები 30 დღიანი საკრედიტო პირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს. კომპანიის სამუშაო ვალუტა და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები, კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ('სებ'-ის) მიერ დადგენილი კურსით. შემოსულობები და ზარალი უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშებიდან, აღირიცხება მოცემული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ნასესხებ სახსრებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო შემოსულობები და ზარალი, აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა ფინანსურ დანახარჯები". ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში როგორც „სხვა საოპერაციო დანახარჯები". წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით.

ვალუტის გაცვლის კურსების ცვლილებების გავლენა რეალური ღირებულებით და უცხოურ ვალუტაში შეფასებულ არამონეტარულ მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები, რომლითაც მოხდა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების ლარში გადაანგარიშება იყო შემდეგი: ამერიკული დოლარი ('$') 1 = ₾ 3.0976 და ევრო ('€') 1 = ₾ 3.5040 (2020 წლის 31 დეკემბრისთვის: $1 = ₾ 3.2766 და €1 = ₾ 4.0233). ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგების გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ცვლილების დამტკიცება, ვინც გამოსაცემად დაამტკიცა ეს ფინანსური ანგარიშგება.

4 მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

თუ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა იქნებოდა 10%-ით განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებისგან, გავლენა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე იქნებოდა 297 ათასი ლარით ზრდა/შემცირება (2020: 154 ათასი ლარი).

აქტივების გაუფასურება და ანარიცხების აღრიცხვა. ყოველი საანგარიშო პერიოდის დადგომისას კომპანია აფასებს არსებობს თუ არა მინიშნება იმაზე, რომ კომპანიის აქტივების ამოღებადი თანხა ჩამოსცდა საბალანსო ღირებულებას. 2021 წლის 31 დეკემბერს, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ყველა შესაბამისი შიდა და გარე ფაქტორები და დაასკვნა, რომ არ არსებობს გაუფასურების ინდიკატორი და შედეგად, კომპანიის არაფინანსური აქტივებისთვის გაუფასურებაზე ტესტი არ ჩატარებულა.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებით. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-**Error! Reference source not found.** შენიშვნაში.

აქტივების გამოყენების უფლების გაუფასურება. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

დისკონტირების განაკვეთები, რომელიც გამოყენებულია იჯარის ვალდებულებების განსასაზღვრად. კომპანია იყენებს მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს დისკონტორების განაკვეთის გააწგარიშების საფუძვლად, იმიტომ, რომ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება. მიღების დღისთვის, 6.99% საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა, როგორც ზღვრული სასესხო განაკვეთი კომპანიისთვის. ხელშეკრულებებისთვის, რომელიც იწყება 2021 წელს, განაკვეთი განისაზღვრა 7.7%-ით.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაკმაყოფილებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას. ხელმძღვანელობამ, ამ განსჯის განხორციელებისას, გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებთან წვდომა, გააანალიზა ფინანსური ბაზრის სიტუაციის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება . მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა, რომელიც მოიცავს განსაზღვრის მეთოდოლოგიის, მოდელებისა და ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია 23-ე შენიშვნაში. საკრედიტო ზარალის ანარიცხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ კომპონენტებს: დეფოლტის განმარტება, მნიშვნელოვნად გაზრდილი საკრედიტო რისკი (SICR), დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD") და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"), ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელები. კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელებსა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის.

5 ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდგე დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ შესწორებებმა მოიჯარეებს (და არა მეიჯარეებს) მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო განთავისუფლების ფორმით გამოხატული შეღავათით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს საიჯარო ქირის დათმობის იგივენაირად აღრიცხვა, როგორც აღრიცხავდა მაშინ, თუ ის არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. ბევრ შემთხვევაში, ეს აისახება საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვაში, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდა. პრაქტიკული მიზანშეწონილობები მხოლოდ ისეთ საიჯარო ქირის დათმობებზე გამოიყენება, რომელიც COVID-19-ის პანდემიის პირდაპირ შედეგად დადგა და მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია: საიჯარო გადასახადების ცვლილება იწვევს იჯარის საზღაურის გადახედვას, რაც არსებითად იგივეა ან ნაკლები იმ იჯარის საზღაურზე, რაც უშუალოდ ცვლილებამდე იყო. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადახდებზე, რომლებიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე. და არ არსებობს იჯარის ვადებისა და პირობების სხვა არსებითი ცვლილება. თუ მოიჯარე ირჩევს პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებას იჯარაზე, ის გამოიყენებს პრაქტიკულ მიზანშეწონილობას თანმიმდევრულად ყველა საიჯარო კონტრაქტზე მსგავსი მახასიათებლებითა და მსგავს გარემოებებში. ცვლილება გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად ბასს 8-ის შესაბამისად, მაგრამ მოიჯარეებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდის მაჩვენებლების ხელახლა გაცხადება ან ინფორმაციის მიწოდება ბასს 8-ის 28(ვ) პუნქტის შესაბამისად. შესწორების მიღებას არანაირი გავლენა არ მოუხდენია აქტივების გამოყენების უფლებაზე.

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი საბაზისო ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლას. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- *IBOR– ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:* ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმოებმა გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად, სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, მოიჯარეებსაც იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ. *ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი:* მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.
- *დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან:* მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების

ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.

- *IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები:* შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებეულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა.

IBOR-ის რეფორმის გავლენა. სხვადასხვა ბანკთაშორის შეთავაზებული განაკვეთების („IBOR“) რეფორმა და ჩანაცვლება მარეგულირებელთა პრიორიტეტად იქცა. IBOR ტარიფების უმეტესობის გამოქვეყნება შეწყდება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხოლო გარკვეული აშშ დოლარის LIBOR ტარიფების გამოქვეყნება შეწყდება 2023 წლის 30 ივნისისთვის.

ცვლილების გამოყენებას არანაირი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 სახუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ ჰღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია – შესწორებები ბასს 1-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის 2022 წლის 1 იანვრიდან). ეს ვიწრო მასშტაბის ვალდებულებები კლასიფიცირდება ან როგორც გრძელვადიანი, ან როგორც მოკლევადიანი, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება, რომ გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიანად თუ პირობა დარღვეულია საანგარიშო პერიოდის მსვლელობისას ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან არის მიღებული მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის შეთანხმება ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. დამატებით, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის ანგარიშსწორებასაც კომპანია მისი კაპიტალში გადაანგარიშებით შეძლებს. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. არსებობს გამონაკლისი იმ გადაანგარიშებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება გადაანგარიშებული იყოს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გადაანგარიშების შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი-როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3-ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) ბასს 16-ის შესწორება უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ბასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებებადა საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

ფასს 1 იძლევა საშეღავათო უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები. ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულს საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.

მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ -(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია შემდეგი შესწორებები ფასს 17-თვის:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:* დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

- *ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.*

სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ასს1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID-19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები– შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა შესწორება ფასს 16-სთვის, რომელმაც მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო პრაქტიკული მიზანშეწონილობით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც აისახა იმ იჯარის გადასახდელების შემცირებაში, რომელიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე, წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო მოვალეობები და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შეადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალცალკე; სწარამოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ არ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებული მხარეებისგან			
- Philip Morris Products SA	*EUCC**	**8,322** 8,322	**6,394** 6,394
დაკავშირებული მხარეების მიმართ			
- Philip Morris Ukraine PrJSC	EUCC*	**37,831** 32,440	**56,176** 53,938
- Philip Morris Products SA	EUCC*	4,438	1,442
- Philip Morris Services SA	EUCC*	362	200
- Philip Morris International IT Service Center Sarl	EUCC*	361	396
- Philip Morris International Service Center Europesp. ZOO	EUCC*	154	76
- Philip Morris International Management SA	EUCC*	76	124

ტრანზაქციები, შემოსავალი და დანახარჯები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2021	2020
Purchase of inventory		**162,474**	**125,730**
- Philip Morris Ukraine PrJSC	*EUCC**	138,067	110,771
- Philip Morris Products SA	*EUCC**	24,407	14,959
Management fees		**3,263**	**3,049**
- Philip Morris Services SA	*EUCC**	3,263	3,049
Consultation expenses		**3,450**	**2,797**
- Philip Morris International IT Service Center Sarl	*EUCC**	2,163	1,553
- Philip Morris International Management SA	*EUCC**	1,098	1,141
- Philip Morris International Service Center Europesp. ZOO	*EUCC**	189	103

** EUCC – საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*

ხელმძღვანელობის ხარჯები. ხელმძღვანელობის ხარჯები მოიცავს ექსპატრიატი ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების კომპენსაციას (გენერალური მენეჯერი და მომდევნო დეპარტამენტების უფროსები: ფინანსური და ადმინისტრაციული, მარკეტინგი, გაყიდვები) სრულ განაკვეთზე აღმასრულებელი მენეჯერის პოზიციაზე, რომელიც შედგება საბაზისო ხელფასის, ბონუსისა და სხვა სარგებლისგან.

მთავარი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. მთავარი ხელმძღვანელი პირები არიან კორპორაციული საკითხებისა და კომერციული დეპარტამენტების უფროსები. მთავარი ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი კომპენსაცია მათ მიერ გაწეული მომსახურებისთვის სრულ განაკვეთზე აღმასრულებელი მენეჯმენტის პოზიციაზე შედგება საბაზისო ხელფასის, ბონუსისა და სხვა სარგებელისგან.

სულ კომპენსაციამ, რომელიც მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაშია ასახული, შეადგინა 690 ათასი ლარი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (2020: 548 ათასი ლარი). 2021 წლის 31 დეკემბერს, მთავარი ხელმძღვანელი პირებისათვის გადასახდელი კომპენსაციები და სარგებელი იყო 98 ათასი ლარი (2020: 88 ათასი ლარი).

8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	IT აღჭურვილობა	ავტო-მობილები	ავეჯი და მოწყობი-ლობა	იჯარის პირობების გაუმჯობესება	დაუმთავრებელი მშენებლობა/ დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	სხვა	სულ ძირითადი საშუალებები	არამატერიალუ-რი აქტივები	სულ
ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს	501	1,994	1,009	986	33	195	**4,718**	41	**4,759**
დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია	(351)	(1,171)	(185)	(258)	-	(174)	**(2,139)**	(41)	**(2,180)**
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იან.	**150**	**823**	**824**	**728**	**33**	**21**	**2,579**	**-**	**2,579**
დამატებები	28	128	271	793	1,133	942	**3,295**	1,581	**4,876**
ტრანსფერები	15	-	17	-	(46)	14	**-**	-	**-**
გასვლები (ღირებულება)	(2)	-	(21)	-	-	(2)	**(25)**	-	**(25)**
გასვლები (დაგროვილი ცვეთა)	2	-	4	-	-	2	**8**	-	**8**
ცვეთის / ამორტიზაციის დარიცხვა	(72)	(306)	(100)	(200)	-	(42)	**(720)**	-	**(720)**
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	**121**	**645**	**995**	**1,321**	**1,120**	**935**	**5,137**	**1,581**	**6,718**
ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს	543	2,122	1,275	1,779	1,120	1,148	**7,987**	1,623	**9,610**
დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია	(422)	(1,477)	(280)	(458)	-	(213)	**(2,850)**	(42)	**(2,892)**
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	**121**	**645**	**995**	**1,321**	**1,120**	**935**	**5,137**	**1,581**	**6,718**
დამატებები	63	402	138	-	-	506	**1,109**	-	**1,109**
ტრანსფერები	-	-	68	-	(68)	-	**-**	-	**-**
გასვლები (ღირებულება)	(10)	(442)	(35)	-	-	(14)	**(501)**	-	**(501)**
გასვლები (დაგროვილი ცვეთა)	7	421	26	-	-	14	**468**	-	**468**
ცვეთის / ამორტიზაციის დარიცხვა	(82)	(319)	(269)	(672)	-	(640)	**(1,982)**	(529)	**(2,511)**
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**99**	**707**	**923**	**649**	**1,052**	**801**	**4,231**	**1,052**	**5,283**
ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	596	2,082	1,446	1,779	1,052	1,640	8,595	1,623	10,218
დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია	(497)	(1,375)	(523)	(1,130)	-	(839)	(4,364)	(571)	(4,935)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	**99**	**707**	**923**	**649**	**1,052**	**801**	**4,231**	**1,052**	**5,283**

8 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

მე -8 და მე -17 შენიშვნებში მითითებულ ცვლილებას შორის სხვაობა გამოწვეულია აქტივის გამოყენების უფლების ცვლილებით, რაც პერიოდისთვის 991 ათას ლარს შეადგენს (2020: 829 ათასი ლარი). დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა მოიცავს მონაცემთა დამუშავებას, მარკეტინგის სტენდების და დაკავშირებული აღჭურვილობისგან, რომელიც რეკლასიფიცირდება საინფორმაციო ტექნოლოგიების აღჭურვილობისა და სხვა ატქივების კატეგორიაში. კომპანიას გააჩნდა 1,166 ათასი ლარის ოდენობის (2020: 1,127 ათასი ლარის) სრულად გაცვლილი აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

9 მარაგები

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გადასაყიდი საქონელი	96,378	86,743
სხვა მარაგები	2,549	1,753
სულ მარაგები	**98,927**	**88,496**

აქციზის გადასახადი შეადგენდა 1,7 ლარს სიგარეტის კოლოფზე, ამას მიმატებული ადვალორემული განაკვეთი დეკლარირებული საცალო გაყიდვების ფასის (RSP) 30% (2020: 1.7 ლარი/კოლოფზე, ადვალორემი დეკლარირებული RSP-ის 30%).

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	19,911	19,856
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	8,322	6,381
სხვა მოთხოვნები	64	86
შემცირებული გაუფასურების ზარალის ანარიცხით	-	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	**28,297**	**26,323**
გადახდილი ავანსები	137	100
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**28,434**	**26,423**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნა 19,911 ათასი (2020: 19, 857 ათასი ლარი) ლარის ოდენობით მხოლოდ ერთ მომხმარებელს - შპს GDI -ს ეკუთვნის.

მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან წარმოადგენს თანხას მშობელი საწარმოსგან Philip Morris Products S.A. თანხა წარმოადგენს ახალი პროდუქტის-შემცირებული რისკის პროდუქტი („აიქოსი“) საქართველოს ბაზარზე ჩაშვებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. თანხა PMG-ს გადმოურიცხა Philip Morris Products S.A.-მ 2022 წელს. გაწეული ხარჯები და ანაზღაურებული თანხები დაყვანილია ნეტომდე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნები უზრუნველყოფილ იქნა უპირობო საბანკო გარანტიით, რომელიც კომპანიის სასარგებლოდ გაცემული და დადასტურებულ იქნა სს „თიბისი ბანკის“ მიერ (2020 წ. 31 დეკემბერი: სს „თიბისი ბანკი“).

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

კომპანია იყენებს ფასს-9 გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეფასდა ინდივიდუალურად.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილებს 2020 წლის 31 დეკემბრამდე ან 2020 წლის 1 იანვრამდე 36 თვით ადრე პერიოდის განმავლობაში და ამ პერიოდში გამოცდილ ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული საკრედიტო ზარალის განაკვეთები დაკორექტირებულია იმის ასასახად, მიმდინარე და პროგნოზირებად ინფორმაციას მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ აქვს თუ არა გავლენა კლიენტების მოთხოვნების დარეგულირების უნარზე. კომპანიამ გამოავლინა, რომ მშპ და უმუშევრობის რეიტინგი იმ ქვეყნებში, სადაც ის ჰყიდის მის პროდუქციას და მომსახურებას, ყველაზე რელევანტური ფაქტორებია და შესაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის განაკვეთებს, ამ ფაქტორებში მოსალოდნელ ცვლილებებზე დაყრდნობით.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის განსაზღვრულია ქვემოთ მოცემული ანარიცხის მატრიცის მიხედვით. ანარიცხის მატრიცა ეფუძნება აქტივის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას, რომლებიც დაკორექტირებული მშპ-ს და აშშ დოლარის/ლარის გაცვლითი კურსების მოლოდინებისთვის.

	2021 წლის 31 დეკემბერი				2020 წლის 31 დეკემბერი			
ათასი ლარი	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა საბალანსო ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნები								
- მოკლევადიანი	*0%*	19,911	-	**19,911**	*0%*	19,856	-	**19,856**
დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები მოთხოვნები								
-მოკლევადიანი	*0%*	8,322	-	**8,322**	*0%*	6,381	-	**6,381**
სხვა მოთხოვნები								
- მოკლევადიანი	*0%*	64	-	**64**	*0%*	86	-	**86**
სულ	-	**28,297**	-	**28,297**	-	**26,323**	-	**26,323**

11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	23	16
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**23**	**16**

ნაღდი ფული ბანკში წარმოადგენს ადგილობრივი ბანკის, სს საქართველოს ბანკის (BB- რეიტინგის მქონე) და სს თიბისი ბანკის (BB- რეიტინგის მქონე) პროცენტიან მიმდინარე ანგარიშებს, რომლებიც არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებულია. მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იყო 3 ათასი ლარი (2020: 5 ათასი ლარი).

12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან 550 ათასი ლარის ოდენობით და დამატებით გადახდილი კაპიტალისგან 2,325 ლარის ოდენობით. 2021 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ ყოფილა გადახდილი. (2019: 2.330,429 ლარი)

13 ნასესხები სახსრები

2021 წლის 31 დეკემბერს, კომპანიის მიერ მთლიანი ნასესხები სახსრები წარმოადგენდა ორ რევოლვირებად საკრედიტო ხაზს სს „თიბისი ბანკში“ (2020 წლის 31 დეკემბერი: სს „თიბისი ბანკი“) წლიური საპროცენტო განაკვეთით 13,5 % და 15% (2020 წლის 31 დეკემბერი: 11% და 11,85%).

შეთანხმებულ პირობებთან შესაბამისობისთვის იხილეთ შენიშვნა 22.

14 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ანალიზს და კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს ყოველი წარდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილია, როგორც ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:

	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი			2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი		
ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	ოჯარის ვალდებულებები	სულ	ნასესხები სახსრები	ოჯარის ვალდებულებები	სულ
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 1 იანვრის მდგომარეობით	**51,182**	**2,083**	**53,265**	**48,846**	**2,436**	**51,282**
ფულადი ნაკადები						
სესხის შემცირება	490,311	-	490,311	382,357	-	382,357
ძირი თანხის დაფარვა	(463,359)	(1,094)	(464,453)	(379,935)	(933)	(380,868)
პროცენტის დაფარვა	(2,245)	(160)	(2,405)	(2,367)	(153)	(2,520)
არაფულადი ცვლილებები						
პროცენტის დარიცხვა	2,584	160	2,744	2,281	153	2,434
ახალი ოჯარები	-	842	842	-	295	295
სავალუტო კორექტირებები	-	(106)	(106)	-	285	285
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 31 დეკემბერს	**78,473**	**1,725**	**80,198**	**51,182**	**2,083**	**53,265**

15 სავაჭრო და სხვა ვალდებულება

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 7)	37,832	56,176
სავაჭრო ვალდებულებები	4,173	7,814
დარიცხული ხელმძღვანელობის ხარჯები (შენიშვნა7)	1,545	1,405
სხვა დარიცხული ვალდებულებები	3,494	2,017
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	**47,044**	**67,412**
სახელფასო ვალდებულებები	471	435
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**47,515**	**67,847**

16 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ათასი ლარი	2021	2020
ამონაგები სიგარეტის რეალიზაციიდან	518,976	467,118
ამონაგები გასახურებელი თამბაქოს რეალიზაციიდან	73,045	21,774
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**592,021**	**488,892**

მთლიანი ამონაგები 592,021 ათასი ლარის ოდენობით სრულად გამომუშავებულია შპს GDI-სგან (2020: 488,892 ათასი ლარი).

კომპანია აწარმოებს ამონაგებს საქონელის გადაცემის დროს, ერთადერთ გეოგრაფიულ ლოკაციაზე.

17 რეალიზაციის თვითღირებულება

ათასი ლარი

	2021	2020
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება-სიგარეტი	492,029	407,046
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება-გასახურებელი თამბაქო	67,886	56,302
სულ, რეალიზაციის თვითღირებულება	**559,915**	**463,348**

18 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

ათასი ლარი

	2021	2020
საკონსულტაციო ხარჯები	(4,929)	(3,977)
სახელფასო ხარჯები	(4,491)	(4,138)
ხელმძღვანელობის ხარჯები	(4,149)	(3,444)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(3,502)	(1,549)
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,300)	(1,248)
ოფისის ხარჯები	(264)	(262)
უსაფრთხოების ხარჯები	(212)	(220)
სარემონტო და მოვლა-შენახვის დანახარჯები	(151)	(47)
დაზღვევის ხარჯები	(151)	(156)
თანამშრომელთა ბონუსები	(139)	(221)
საწვავის ხარჯები	(119)	(132)
კომუნიკაციის ხარჯები	(111)	(184)
სამივლინებო ხარჯები	(83)	(108)
მოგების გადასახადის გარდა გადასახდელი გადასახადები	(47)	(38)
ტრენინგები თანამშრომლებისთვის	(5)	(14)
სასაწყობო ხარჯები	-	-
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	**(19,653)**	**(15,738)**

საკონსულტაციო დანახარჯები 70 ათასი ლარის ოდენობით (2020: 75 ათასი) მოიცავს აუდიტისა და სხვა პროფესიონალური მომსახურების საფასურს, რომელიც გაწეული იქნა აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

19 მარკეტინგის დანახარჯები

ათასი ლარი

	2021	2020
მარკეტინგის მარაგების დანახარჯები	(3,305)	(1,381)
სავაჭრო მარკეტინგის ხარჯები	(3,132)	(1,192)
ბაზრის კვლევების დანახარჯები	(172)	(149)
პროდუქტის დიზაინის ხარჯები	(151)	(74)
სულ მარკეტინგის დანახარჯები	**(6,760)**	**(2,796)**

20 სხვა საოპერაციო ხარჯი, ნეტო

ათასი ლარი

	2021	2020
უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობა/ (ზარალი), ნეტო	1,609	(2,414)
სხვა საოპერაციო შემოსულობა /(ხარჯი), ნეტო	(750)	(648)
საბანკო მომსახურების საფასური და ხარჯები	(56)	(31)
ჯარიმები/საურავები	(13)	(10)
ქველმოქმედების ხარჯები	-	(225)
სულ, სხვა საოპერაციო შემოსულობა /(ხარჯი), ნეტო	**790**	**(3,328)**

21 ფინანსური ხარჯები, ნეტო

ათასი ლარი

	2021	2020
ბანკისგან ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯები	(2,584)	(2,281)
საპროცენტო ხარჯი იჯარის ვალდებულებაზე	(160)	(153)
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე	3	5
ფინანსური ხარჯები, ნეტო	**(2,741)**	**(2,429)**

22 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიის წინააღმდეგ ზოგჯერ სასამართლოში შეაქვთ სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული რჩევის საფუძველზე ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ანარიცხებს არ ასცდება აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება.

საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ მან ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები, შესაბამისი კანონმდებლობის განმარტება სათანადოა და კომპანიის საგადასახადო პოზიციები შენარჩუნდება.

საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა ზოგადად შეესაბამება საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებს, რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) მიერ, თუმცა მას გააჩნია სპეციფიური თვისებები. ეს კანონმდებლობა განაპირობებს დამატებითი საგადასახადო შეფასების შესაძლებლობას კონტროლირებული ოპერაციებისათვის (ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის და გარკვეული ოპერაციები დაუკავშირებელ მხარეებთან), თუ მსგავსი ოპერაციები არ ხორციელდება „გაშლილი ხელის მანძილის“ საფუძველზე. ხელმძღვანელობამ დანერგა შიდა კონტროლი, რომელიც შესაბამისობაშია სატრანსფერო ფასების კანონმდებლობასთან.

22 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

კონტროლირებული ოპერაციებიდან წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება, მათი ფაქტობრივი გარიგების ფასების საფუძველზე. შესაძლებელია სატრანსფერო ფასების წესების ინტერპრეტაციების განვითარებით მსგავსი სატრანსფერო ფასების გამოწვევის წინაშე დაყენება. ნებისმიერი მსგავსი გამოწვევის გავლენის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია; ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ კომპანიას არ გააჩნია სატრანსფერო ფასწარმოქმნის რისკი დასრულებული პერიოდისთვის (2020: არცერთი) და გეგმავს შეინარჩუნოს კომპანიის სატრანსფერო ფასწარმოქმნის პოზიციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გაძლიერდება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოზე ზიანის მიყენებისათვის.

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. კომპანიამ უნდა შეასრულოს გარკვეული შეთანხმებული ფინანსური პირობები, რომლებიც, ძირითადად, დაკავშირებულია მის მიერ ნასესხებ სახსრებთან. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია არ იყო შესაბამისობაში შეთანხმებულ პირობებთან. ასეთი შეთანხმებული პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება შედეგად გამოიწვიოს ბანკისგან უარი კომპანიის კრედიტის შემდგომი გაცემის მოთხოვნაზე და ასევე, ბანკმა შესაძლოა მოითხოვოს კომპანიისგან კრედიტის სრულად გადახდა დარიცხულ პროცენტებთან და ჯარიმებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ბანკს არ უსარგებლია თავისი უფლებებით და არ ჰქონია მოთხოვნა კრედიტის თანხის დაუყონებლივ გადახდაზე. იხილეთ შენიშვნა 27.

დარღვევის გამო კომპანიის ნასესხები სახსრები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები, თუმცა, საკრედიტო ხაზებს თითოეულ ხელშეკრულებაზე ვადა ერთ წელზე ნაკლები აქვს და უკვე წარმოდგენილია როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ზემოაღნიშნული საკითხი გავლენას ახდენს ლიკვიდურობის რისკის გამჟღავნების წარდგენაზე. იხილეთ შენიშვნა 23.

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ინფორმირებულობა და საზრუნავი კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ის გაიცემა იმ ბაზრებზე, სადაც კომპანია ოპერირებს.

23 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციის და კონტრაჰენტებთან სხვა გარიგებებს შედეგად, რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიას სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია, ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

ზღვრები. კომპანია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის მისაღები რისკის ოდენობაზე ზღვრების დაწესებით ერთ კონტრაჰენტთან, ან კონტრაჰენტების ჯგუფთან დაკავშირებით. საკრედიტო რისკის ზღვრების დაწესება ხელმძღვანელობის მიერ რეგულარულად მტკიცდება. მსგავსი რისკების მონიტორინგი ხორციელდება მუდმივ რეჟიმში და ექვემდებარება წლიურად, ან უფრო მეტი სიხშირით გადახედვას.

საკრედიტო ზღვრები ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ ანალიზს ექვემდებარება და მის მიერვე მტკიცდება. საკრედიტო რისკის არსებობის მონიტორინგის განსახორციელებლად, იქმნება რეგულარული ანგარიშები სტრუქტურირებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ორიენტირებულია კლიენტის ბიზნეს და ფინანსურ წარმადობაზე. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება მომხმარებელთან უარყოფითი კრედიტუნარიანობით, მოხსენებულია და განხილულია ხელმძღვანელობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაჰენტების წარმადობას და თვალყურს ადევნებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. *ECL* არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (მაგ., საკრედიტო ზარალის შეწონილი საშუალო, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ხდომილებები). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით. ECL-ის შეფასება ემყარება კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა (“PD”), დეფოლტის რისკი (“EAD”), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”) და დისკონტირების განაკვეთი.

PD არის დეფოლტის ალბათობის შეფასება, რომელიც მოსალოდნელია რომ მოხდეს დროის მოცემულ პერიოდში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”) არის დეფოლტის დროს წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც მოსალოდნელია, რომ გამსესხებელი მიიღებს, უზრუნველყოფიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადის ჩათვლით. მოსალოდნელი ზარალი დისკონტირდება ამჟამინდელ ღირებულებამდე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.. დისკონტორების განაკვეთი არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (“EIR”) ფინანსური ინსტრუმენტისათვის ან მასთან მიახლოებული.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მოდელირებულია ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდზე. სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდი უტოლდება სავალო ინსტრუმენტების დაფარვამდე დარჩენილ სახელშეკრულებო პერიოდს, დაკორექტირებულს მოსალოდნელი გადახდილი ავანსებისთვის, თუ ასეთი არსებობს. ხელმძღვანელობა ქმნის *სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ECL* მოდელს, რაც გულისხმობს ზარალს, რომელიც წარმოიქმნება ამ ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი მომსახურების ვადის პერიოდში ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევაში. *12-თვიანი ECL* წარმოადგენს *მომსახურების ვადის განმავლობაში ECL*-ის ნაწილს, რაც განპირობებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, ან ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი *სასარგებლო მომსახურების ვადის პერიოდში*, თუ ეს წელზე ნაკლებია, ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის შემთხვევებით.

ECL, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ ამ ფინანსური ინსტრუმენტებისთვისაა შეფასებული, წარმოადგენს შეფასებას დროის მომენტში, ნაცვლად ციკლის განმავლობაში შეფასებებისა, რომლებიც საზოგადოდ გამოიყენება რეგულირების მიზნებისთვის. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ *პერსპექტიულ ინფორმაციას*, ანუ ECL ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე, ალბათობით შეწონილ ცვლილებას.

PD შეფასების მიზნებისთვის, კომპანია საზღვრავს დეფოლტს, როგორც სიტუაციას, რომელიც ერთ ან რამოდენიმე ჩამოთვლილ კრიტერიუმს შეესაბამება:

- მსესხებელმა 90 დღეზე მეტი გადააცილა გადახდის სახელშეკრულებო ვადებს;
- მსესხებელი ხვდება ნაკლებსავარაუდო გადამხდელთა სიაში:
  - მსესხებელი გარდაცვლილია;
  - მსესხებელი გადახდისუუნაროა;
  - მსესხებელი არღვევს ფინანსურ პირობით შეთანხმებებს;
  - სავარაუდოა, რომ მსესხებელი გაკოტრდება; და

გამჟღავნების მიზნით, კომპანიამ სრულად შეუსაბამა დეფოლტის განსაზღვრება კრედიტ-გაუფასურებული აქტივების განსაზღვრებასთან. ზემოთ ხსენებული დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება კომპანიის ყველა ტიპის აქტივებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად კომპანია იყენებს ინდივიდუალურ მიდგომას. კომპანია ახორციელებს ინდივიდუალურ შეფასებას ყველა სავაჭრო მოთხოვნის ნაშთებისთვის.

ECL-ის ინდივიდუალურად შეფასება ხდება საკრედიტო ზარალის სხვადასხვა შესაძლო შედეგის შეფასების შეწონვით თითოეული შედეგის ალბათობით. კომპანია განსაზღვრავს სულ მცირე ორ შესაძლო შედეგს თითოეული შეფასებული სესხისთვის, საიდანაც ერთ-ერთი განაპირობებს საკრედიტო ზარალს, თუნდაც მსგავსი შედეგის ალბათობა ძალიან დაბალი იყოს. ინდივიდუალური შეფასება ძირითადად ეფუძნება ხელმძღვანელობის საექსპერტო განსჯას. როგორც წესი, საექსპერტო განსჯის ტესტირება ხდება, რათა შემცირდეს შეფასებულ და ფაქტობრივ ზარალს შორის სხვაობა.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის გამოთვლის ძირითადი პარამეტრები. PD არის ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი მომსახურების ვადაში დეფოლტის მოხდენის შეფასებული ალბათობა და წარმოადგენს ინსტრუმენტის მომსახურების ვადაში 12-თვიანი PD-ების ჯამს. კომპანია PD-ს გამოსათვლელად იყენებს დეფოლტის ისტორიულ მონაცემებს.

LGD არის კომპანიის ზარალისა და დეფოლტის რისკის მოლოდინი. LGD იცვლება პარტნიორის ტიპის, პრეტენზიის ტიპისა და რანგის, უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობის ან სხვა კრედიტის გამამყარებელი ფაქტორის მიხედვით. 12-თვიანი და მომსახურების ვადის LGD-ები განისაზღვრება ისეთი ფაქტორების საფუძველზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენენ დეფოლტის შემთხვევაში ანაზღაურებაზე. LGD-ის შეფასების მეთოდი შეიძლება სამ მიდგომად დაიყოს:

- LGD-ის შეფასება უზრუნველყოფის სპეციფიკური მახასიათებლების საფუძველზე;
- ინდივიდუალურად განსაზღვრული LGD, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებსა და სცენარებზე.

კომპანია LGD-ს გამოითვლის უზრუნველყოფის სპეციფიკური მახასიათებლების საფუძველზე, როგორიცაა მაგალითად უზრუნველყოფის საპროგნოზო ღირებულება, წარსული ფასდათმობები გაყიდვისას და სხვა ფაქტორები უძრავი ქონებით, ფულითა და ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი სესხებისთვის. LGD გამოითვლება კოლექტიური მეთოდით, კორპორაციული სასესხო პორტფელისა და საცალო უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი პროდუქტების დარჩენილ ვადაში ამოღების შესახებ უახლესი ხელმისაწვდომი სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე.

ECL მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. ECL-ის გამოთვლა გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. კომპანიამ გამოავლინა გარკვეული მთავარი ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განვითარებასთან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველწლიურად და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო ხუთ წელში.

ხუთი წლის შემდეგ საშუალოს რევერსიის მეთოდი გამოიყენება, რომელიც გულისხმობს, რომ ეკონომიკური ცვლადები უბრუნდება გრძელვადიან საშუალოს (მაგ., უმუშევრობა) ან გრძელვადიან საშუალო ზრდის ტემპს (მაგ., მშპ). შესაფერისი ეკონომიკური ცვლადების გავლენა PD-ზე და LGD-ზე განისაზღვრა სტატისტიკური რეგრესიის ანალიზით, ისტორიულად ამ ცვლადების ცვლილების საბაზისო განაკვეთებსა და LGD-ის და EAD-ის კომპონენტებზე გავლენის გასაგებად.

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. 2021 წლის 31 დეკემბერს კომპანიას ჰყავდა ერთი კონტრაჰენტი (2020 წლის 31 დეკემბერს; ერთი) მოთხოვნების ნაშთით ₾ 19,911 ათასი (2020 წლის 31 დეკემბერი: ₾ 19,856 ათასი) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა მოთხოვნები შეადგენდა 64 ათას ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: 86 ათასი ლარი).

კომპანიის საბანკო დეპოზიტები განთავსებულია ორ ბანკში: სს "თიბისი ბანკი“ და „საქართველოს ბანკი“, რითაც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკის კონცენტრაციას.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით, ასახულია ფინანსურ აქტივებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 9)		
- სავაჭრო მოთხოვნები	28,297	26,323
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 11)		
- მოთხოვნამდე გადასახადი საბანკო ნაშთები	23	16
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმუმი	**28,320**	**26,339**

კომპანიის ხელმძღვანელობა ახორციელებს სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს და თვალყურს ადევნებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს. შედეგად, ხელმძღვანელობა, საკრედიტო რისკის ხანდაზმულობისა და მის შესახებ სხვა ინფორმაციის მიწოდებას მიზანშეწონილად მიიჩნევს (იხ. შენიშვნა 9).

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი მგრძნობელობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2021 წლის 31 დეკემბერი			2020 წლის 31 დეკემბერი		
ათასი ლარი	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	19,997	88,886	(63,888)	19,946	58,485	(38,540)
აშშ დოლარი	8,322	40,780	(32,458)	6,394	58,713	(52,319)
შვეიცარული ფრანკი	1	439	(438)	-	523	(523)
ევრო	-	2,138	(2,138)	-	2,956	(2,956)
სულ	**28,320**	**127,243**	**(98,924)**	**26,340**	**120,677**	**(94,338)**

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტირება და არაფულადი აქტივები არ არის გათვალისწინებული სავალუტო რისკების შეფასებისას.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(5,353)	5,108
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	5,353	5,108

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში დენომინირებული ფულადი ნაშთებისათვის, რომლებიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შედეგად მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე მოსალოდნელ რისკებს. საპროცენტო მარჯა შეიძლება გაიზარდოს ასეთი ცვლილებების შედეგად, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი მოულოდნელი მოძრაობების წარმოქმნის შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ყოველდღიურად აკონტროლებს და ადგენს ზღვრებს საპროცენტო განაკვეთის გადაფასების შეუსაბამობის დონეზე, რომელსაც, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც, ძირითადად, მოიცავს ნასესხებ სახსრებს. კომპანია ფონდების ინვესტირებას ახორციელებს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა შეძლოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებზე სწრაფად და მშვიდად რეაგირება. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 11). ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, აღნიშნული ლიკვიდური პორტფელი, რომელიც მოიცავს ფულს, საბანკო დეპოზიტებს შეიძლება რეალიზებულ იქნეს ფულად სახსრებად, ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენები ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოური ვალუტით გადახდები კონვერტირებულია სფოთ (spot) გაცვლითი კურსით ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბერს:

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	მოთხოვნა 2 თვემდე ვადაში	2-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	ერთ წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 15)	67,412	-	-	-	**67,412**
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 13)	500	41,239	11,746	-	**53,485**
იჯარის ვალდებულებები	95	442	610	1,144	**2,291**
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**68,007**	**41,681**	**12,356**	**1,144**	**123,188**

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 2 თვემდე ვადაში	2-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	ერთ წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 15)	47,044	-	-	-	**47,044**
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 13)	78,473	-	-	-	**78,473**
იჯარის ვალდებულებები	95	442	609	785	**1,931**
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**126,083**	**442**	**609**	**785**	**127,448**

24 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის, კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიერ მართული კაპიტალის ოდენობა, რომელსაც კომპანია მართავდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 10,394 ათას ლარს. (2020: 6,528 ათასი ლარი).

25 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში. რეალური ღირებულების იერარქიის დონეები, რომელთა მიხედვით ხდება რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, გახლავთ შემდეგი:

	2021 წლის 31 დეკემბერი				2020 წლის 31 დეკემბერი			
ათასი ლარი	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	23	-	-	**23**	16	-	-	**16**
- სავაჭრო მოთხოვნები	-	28,297	-	**28,297**	-	26,323	-	**26,323**
სულ აქტივები	**23**	**28,297**	**-**	**28,320**	**16**	**26,323**	**-**	**26,339**
ვალდებულებები								
- ნასესხები სახსრები	-	78,473	-	**78,473**	-	51,181	-	**51,181**
- სავაჭრო დავალიანებები	-	47,044	-	**47,044**	-	67,412	-	**67,412**
სულ ვალდებულებები	**-**	**125,517**	**-**	**125,517**	**-**	**118,593**	**-**	**118,593**

რეალური ღირებულებები იერარქიის მეორე და მესამე დონეებში შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების საშემფასებლო ტექნიკის გამოყენებით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომელიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე შეფასდა საბალანსო ღირებულების თანაბრად. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, რომელშიც გამოყენებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, ახალი ინსტრუმენტისთვის დამახასიათებელი მსგავსი საკრედიტო რისკითა და დარჩენილი დაფარვის ვადებით.

25 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები. მცოცავ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია რომ იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების რეალური ღირებულება განისაზღვრა კოტირებული მოთხოვნილი ფასის საფუძველზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტებს შეფასებული რეალური ღირებულება შეფასებულ იქნა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. სავაჭრო დავალიანებების და სხვა ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები დაახლოებულია რეალურ ღირებულებებთან მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო.

26 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის, ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ახდენს შემდგომ კატეგორიებად: (a) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; b) სავალო ინსტრუმენტები FVOCI-ს მეშვეობით, (c) წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ს მეშვეობით და (c) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზირებული ღირებულებით. ფინანსური აქტივებს FVTPL-ით გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: (i) აქტივები, რომლის შეფასებაც სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, აღნიშნული როგორც ასეთი, თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ.

27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

გაყიდვების ხელშეკრულება. 2022 წლის იანვრიდან კომპანიამ GDI-თან ხელშეკრულება იგივე პირობებით გაახანგრძლივა. ხელშეკრულების ახალი ვადის თარიღია 2023 წლის 31 დეკემბერი.

რუსეთ/უკრაინის კონფლიქტი. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი. საერთაშორისოდ განხილული, როგორც საომარი აგრესია და შეჭრა, ეს წარმოადგენს ყველაზე ფართომასშტაბიან სამხედრო თავდასხმას ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამ ომმა ევროპაში ყველაზე დიდი ლტოლვილთა კრიზისი გამოიწვია, 3,7 მილიონზე მეტმა უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და მილიონობით სხვამ მიატოვა სახლები. უკრაინაში კონფლიქტის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ დაუწესა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთს და მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე ღირებულების მნიშვნელოვანი ვარდნა რუსეთში და სხვა ბაზრებზე არსებული რუსული კომპანიებისთვის. უამრავმა კომპანიამ მისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელორუსიიდან გაიტანა. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გამო, თამბაქოს ტრადიციული ნაწარმის კომპანიის ერთპიროვნულმა მიმწოდებელმა, რომელიც წარმოადგენს კომპანიის დაკავშირებულ მხარეს - "Philip Morris Ukraine PrJSC" შეწყვიტა მუშაობა და დაიხურა მისი წარმოების ცენტრი ხარკოვის რაიონში. 2022 წლის თებერვალში კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება პროდუქციის ალტერნატიული მიმწოდებლების მოძიებაზე. 2022 წლის მარტში გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება სადისტრიბუციო ხელშეკრულებაზე Philip Morris Product S.A.-სთან Philip Morris Georgia-სთვის სიგარეტების მიწოდებაზე წარმოების ცენტრი Philsa-დან (თურქეთი). თურქეთიდან სიგარეტის

მიწოდება 2022 წლის აპრილში იგეგმება. მზა საქონელი საზღვაო გზების ნაცვლად სახმელეთო ტრანსპორტით იქნება მიწოდებული, თუმცა გადაზიდვის პირობები უცვლელი რჩება. კომპანია გეგმავს შეინარჩუნოს ურთიერთობა Philip Morris Product SA-სთან სიგარეტების მიწოდებაზე, სანამ კრიზისი არ მოგვარდება. შეთანხმების პირობები იგივე დარჩა, როგორც ეს დადგენილი იყო Philip Morris Ukraine PrJSC-თან.

ხელმძღვანელობა კონფლიქტს უკრაინაში საბალანსო უწყისის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ამას არ ექნება შესამჩნევი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

იმის გამო, რომ კონფლიქტი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს ის სრული გავლენა, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვევლობაა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ მდგომარეობას არსებულ გარემოებებში.

ნასესხები სახსრები . 2022 წლის აპრილში კომპანიამ სს თიბისი ბანკისგან მიიღო მოკლევადიანი საკრედიტო ხაზი 30 მილიონი ლარის ოდენობით საბრუნავი კაპიტალის საჭიროებების დასაფინანსებლად. საკრედიტო ხაზი ვადაა 2023 წლის 5 იანვარი.

2022 წლის აპრილში კომპანიამ სრულად დაფარა მისი დასაფარი ნასესხები სახრები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სადაც ადგილი ჰქონდა შეთანხმებული პირობების დარღვევას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს ფილიპ მორის საქართველო

მმართველობის ანგარიშგება- საქმიანობის მიმოხილვა, 2021 წელი.

საწარმოს ბიზნეს განვითარება, წარმადობა და პოზიცია

შპს ფილიპ მორის საქართველო (შემდგომში „კომპანია") დაარსდა როგორ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს რეგულაციების მიხედვით 2010 წლის 17 სექტემბერს, სათაო ოფისით თბილისში, საქართველოში. კომპანიის უშუალო მშობელი საწარმო არის Philip Morris Sarl, რომელიც ფლობს აქციების 100%. მისი საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, ისევე, როგორც Philip Morris International-ის შიდა პროცედურებით.

კომპანიის მთავარი ბიზნეს საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე სიგარეტისა და გასახურებელი თამბაქოს იმპორტი, განბაჟება და საბითუმო გაყიდვებია. კომპანიის ობიექტები მდებარეობს საქართველოში, ოფისებით თბილისსა და ბათუმში,

2021 წელს კომპანიამ აღრიცხა მთლიანი ამონაგები 592,021,413 ლარის ოდენობით და მთლიანი მოგება 32,106,697 ლარის ოდენობით, რაც მთლიანი მოგების მარჟაში კონვერტირდება როგორც 5.4%. 2021 წლის წმინდა მოგებამ 3 865 610 ლარი შეადგინა.

2020 წელს, კომპანიამ აღრიცხა მთლიანი ამონაგები 488,891,653 ლარის ოდენობით და მთლიანი მოგება 25,543,851 ლარის ოდენობით, რაც მთლიანი მოგების მარჟაში კონვერტირდება როგორც 5.2%. 2020-ში, წმინდა მოგებამ შეადგინა 1,315,336. ლარი.

გამოსაყენებელი კაპიტალის მომგებიანობამ შეადგინა 61% 2021 წელს, 2020 წლის 50%-ის საპირისპიროდ.

საწარმოს სამომავლო განვითარების გეგმები

ფილიპ მორის საქართველო გეგმავს რომ შეინარჩუნოს მისი პოზიცია საქართველოს თამბაქოს ბაზარზე და განახორციელოს ინვესტირება თამბაქოს ინდუსტრიის ტრანსფორმირებაში, მისი გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების შესახებ ინფორმაციულობის გაზრდით, რომელიც 2020 წელს ამოქმედდა,

საწარმოს მიერ განხორციელებული კვლევების და განვითარების მიმოხილვა.

კომპანია არ იყო ჩართული კვლევით და განვითარების საქმიანობაში 2021 წელს.

ინფორმაცია საწარმოს ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები. სტრუქტურული ერთეულები მდებარეობს ორ ქალაქში, მთავარი ოფისი მდებარეობს თბილისში და რეგიონალური გაყიდვებისა და დისტრიბუციის განყოფილება-ბათუმში.

მთავარი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები

მთავარი ფინანსური მაჩვენებლები:

	ლარი	2021	2020	სხვადასხვაობის განმარტება
1	მთლიანი ამონაგები	592,021,413	488,891,653	Higher sales volumes and increased prices, optimization of expenses.
2	მთლიანი მოგება	32,106,697	25,543,851	
3	წმინდა მოგება	3,865,610	1,315,337	
4	მთლიანი მოგების მარჟა	5.4%	5.2%	

მთავარი არა-ფინანსური მაჩვენებლები:

		2021	2020
1	ბრენდების რაოდენობა პორტფელში	6	6
2	მარაგების მთავარი ერთეულების საშუალო რაოდენობა	36	35

საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ დეტალური ინფორმაცია

კომპანიას არ შეუძენია საკუთარი აქციები 2021 წლის განმავლობაში.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

კომპანიის წმინდა სამუშაო კაპიტალი შეიცვალა -790,127 ლარიდან 2020 წელს 4,109,677 ლარით 2021 წელს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს მიმდინარე შეფარდება (ლიკვიდურობის შეფასება) იყო 1.03.

საწარმოს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

კომპანია ჰყიდის იმპორტირებულ სიგარეტს და გასახურებელ თამბაქოს დისტრიბუტორზე იმ გადახდის პირობებით, რომლებიც დისტრიბუციის შეთანხმებაშია განსაზღვრული. ყველა გადახდები ხორციელდება ელექტრონული გადარიცხვით კომპანიის ანგარიშზე და 2021 წლის განმავლობაში, შეყოვნება გადახდებში არ დაფიქსირებულა.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სიგარეტის და გასახურებელი თამბაქოს შესყიდვა განხორციელდა უცხოურ ვალუტაში, საკრედიტო პირობებით და გაყიდვები განხორციელდა ადგილობრივ ვალუტაში, ფილიპ მორის საქართველოს მუდმივად გააჩნია სავალუტო ზარალის პოტენციური რისკი. სავალუტო რისკის შესამცირებლად, კომპანია მუდმივად ახორციელებს უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების რყევების ტენდენციების, საბაზრო საპროცენტო და ინფლაციის განაკვეთების მონიტორინგს.

კოვიდ -19 -ის გავლენა

ახალმა კორონავირუსმა არანაირი გავლენა არ იქონია შპს ფილიპ მორის საქართველოს საქმიანობაზე.

მთავარი რისკები და გაურკვევლობები უკავშირდება შემდგომს:

	რისკისა და გაურკვევლობის განმარტება	ხელმძღვანელობის რეაგირება
1	აქციზის ზრდა - ინფლაციისა და ხელთ არსებული შემოსავლის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს უკანონო ვაჭრობის გაზრდა და სამომხმარებლო ვაჭრობა დაბალ ფასიან პროდუქტებზე, რაც გავლენას მოახდენს კომპანიის გაყიდვების მოცულობაზე, შემოსავლებსა და მომგებიანობაზე.	მხარი დაეჭიროს მდგრად ხანგრძლივ საგადასახადო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს წინასწარგანჭვრეტად საგადასახადო შემოსავალს მთავრობისთვის და ხელს შეუშლის უკანონო პროდუქტების შემოდინებას და ამავდროულად უფლებას მისცემს იმპორტიორებს გააგრძელონ საქმიანობა.
2	სავალუტო რისკი- პროდუქციის შესყიდვის ნაწილი ხორციელდება უცხოურ ვალუტაში საკრედიტო პირობებით, როდესაც გაყიდვები ხორციელდება ადგილობრივ ვალუტაში. არსებობს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შედეგად პოტენციური ზარალის რისკი.	განხორციელდეს უცხოური ვალუტის გაცვლის, საპროცენტო, ბაზარზე ინფლაციის, სამომავლო პერსპექტივების ჩათვლით მონიტორინგი, შენარჩუნდეს ხელშეკრულებების დიდი ნაწილი ადგილობრივ ვალუტაში.
3	თამბაქოს კონტროლის კანონის აღსრულების გაურკვეველი პრაქტიკა პროგრესული შეზღუდვებით, რომელიც დამტკიცდა 2017 წელს და რომელიც ძალაში შედის მომდევნო წლებში.	განხორციელდეს ყველა სამართლებრივი დებულების დაცვის და სრული შიდა შესაბამისობის უზრუნველყოფა დადგენილ ვადებში. მჭიდრო მონიტორინგის განხორციელება სააღსრულებო პრაქტიკაზე, ორგანიზაციის ადაპტაციის საჭიროების შემთხვევაში.

2022 წლის 29 აპრილი

იური გორდოკ
გენერალური დირექტორის მოადგილე

ქეთევან ხარაძე
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220828548
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	04.07.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	სალომე სალუქვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577921111
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	06338204483822

ორიათას ოცდაორი წლის ოთხ ივლისს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის შპს ფილიპ მორის საქართველო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2021 წლის 31 დეკემბერი - თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.4-ე მუხლის თანახმად 104.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი. სულ გადახდილია 109 (ასცხრა) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18